

# សំណង់

ល



1928

សោចចេនបាន

№ 12

## 15 ოქტომბერს შესრულდება ორი ზეღი, რაც უშალნალ „პიონერი“ არსებობს.

1926 წლის 15 ოქტომბერს პირველიდ გამოვიდა საბავშო უკრნალი „პიონერი“ ბეჭრი რამ გამოიცვალა ამ ორი წლის განმავლობაში, და გამოიცვალა „პიონერიც“. აუნდა დაგვავიწედეს, რომ ქურ. „პიონერის“ მიზანია გაამუქოს ერველიშების, რაც ას ტერესების მოწაფეს და პიონერის, საბავშო სახლის და მეუკავშირებელ ბავშს.  
 „პიონერი“ ეხმარება ბავშების, რომ მათ სწორად მოაწეოს თავისი ცხოვრება და მუშაობა.

„პიონერი“ აცნობს ბავშების, თუ რა ხდება მათ ირგვლივ, რა ხდება ასევე ამასებული კილომეტრის იქნა.

ამ ორი წლის განმავლობაში „პიონერის“ 42 ხომერში მოთავსებული ბენიშვილი საბჭოთა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ბავშები გვაცნობდენ თავის ცდებს, იმას თუ როგორ ცხოვრობენ, სწავლობენ, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს, რა საიმურუსო რამ განიცდეს და ხახეს.

თვიდან თვეზე, წლიდან წლიდე აუმჯობესებდა „პიონერი“, თავის მუშაობას იმიტო რომ მას მეკობრულია და განუწყვეტლივ ეხმარებოდეს მკითხველები და ბაგშკორები.

თავისი არსებობის ორი წლის თვეზე „პიონერი“ თავისი მკითხველებისაგან მოელის კოლექტიურ მსჯელობას უკრნალის მინარესის შესახებ, მკითხველებმა უნდა მიუთითონ: რა არის ამ უკრნალში საინტერესო, რა ნაკლი აქვს მას, რა უნდა მოკლოს, რა განეოფილებები უნდა გაზიაროთ თვეებს, როგორ უნდა მეიცვალოს უკრნალი გარეგნები მხარე. მკითხველებმა უნდა აღნიშნოს, რა მსრივ დაეხმარა მას უკრნალი და სხვა დარღვეული მხარე. მკითხველებმა უნდა აღნიშნოს, რა მსრივ დაეხმარა მას უკრნალი და სხვა დარღვეული მხარე.

პიონერთა, მოწაფეთა და საბავშო სახლის კედლის გაზეთებმა უნდა აღნიშნონ „პიონერის“ არსებობის ორი წელი და სხვებიც დაინტერესონ, კედლის გაზეთის სავალებით, თავისი უკრნალით.

ბაგშკორების და მკითხველების უნდა ასეოდესთ „პიონერის“ შესახებ, რომელიც ეს მარება მათ მუშაობაში. მათ უნდა სწერონ ამ უკრნალში თავისი მიღწევების და სიმხა დაების შესახებ.

აკრეთვე, რაც მთავრია, ბავშვორებმა და მკითხველებმა აქტიურად უნდა იმუშაონ იმის შესახებ, რომ რაც მეიცვებია ბეჭრ ამხანაგს გამოაწერინონ „პიონერი“. საქართველოში 70,000 პიონერია, გარდა მრავალი ათასი მეუკავშირებელი ბავშისა და მათ მორის სულ მსოფლი 1000 ცალი „პიონერი“ გრცელდება! ეს უდიდესი სიცხვილი დანაშაულიდ რომ არ ჩავთვალით! „პიონერის“ იუბილემ ბაგშკორებს, მკითხველებს ბეჭვითი სიტუაცის წმინდებულების და კოლექტივების უნდა მოაგონოს, რომ მათ იმუშაონ იმუშაონ და კიდევ იმუშაონ იმისათვის, რომ რაც მეიცვებია მეტი გავრცელდეს „პიონერი“. მამ, ამხანაგებო, კემზადოთ „პიონერის“ არსებობის ორი წლის იუბილეისათვის ამ მეტად საუკრადღებო და აღსანიშნავი დღისათვის.

არცერთ ბავშს, არცერთ პიონერს არ უნდა დაგვავიწედეს ჩვენი ვალდებულების აღდისათვის.

329-153 (05)

3-47.

მუშათა კლასის სამშისათვის იყალ მზად!


# კიბელი

1928

30 ივნისი

საქათხულოს მ. კ. ტ. ურცერალური მიურის (საჭ. ა. ლ. კომიკშირის  
ცუკასთან) და გარეთლურის სახსალხო კომისარიაციის სოფიალური აღმზის  
მთავარმატეფულობის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის

წელიწადი III  
№ 12



პიონერები მზის ვანებს იღებენ.



(ცხრას ხუთი წლის ამბავი).

### ფარული კრება \*).

ჯერ კიდევ არ დაღამებულიყო, სანაპირო ქალაქში რომ მოძრაობა შესწყდა. დუქნები და სავაჭროები დაჰკეტეს. მოქალაქენი აღრიან წავიდ-წამოვიდენ, და ქუჩებშიმხოლოდ პოლიციის მოხელენი და ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდენ. ყველა ისინი შეიარაღებული იყვნენ.

საქმე ის არის, რომ დღეს ბაზარში პროკლამაციები გაევრცელებიათ და მით ხალხი აელელვებიათ. პოლიციამ კარგად იცოდა, რომ ამ საქმეს მუშები სხადიოდენ, მაგრამ რადგან დამნაშავენი ვერ დაიჭირეს, ამიტომ ქუჩებში ღამით მიმოსვლა აკრძალეს. გოგი შინ იყო. ბიცოლა კატოც აქ იყო.

როდესაც დაღამდა, ბიცოლა კატომ გოგის დახმარებით ფანჯრებზე კილის ფარდაგი ააფარა და ოთახში პაწია სანათური აანთო.

მაშინ გოგი ეზოში გავიდა; მან ფანჯრები დაათვალიერა, გარედან სინათლე ხომ არ გამოსჭივისო? შემდეგ გოგი სახლში შევიდა. ორივემ, ბიცოლა კატომ და გოგიმ, დაუწყეს ლოდინი მამუჩასა და მის ამხანაგებს.

ქუჩებში სანათები არ ენთო, ბნელოდა და ამ სიბნელეში გულმოდგინედ დადიოდენ პოლიციის გუშაგები.

გოგი გულისცემით ელოდა მამუჩას და ბავშის მახვილ სმენას უბრალო ხმაურიც კი არ ეპარებოდა. უეცრად მას ფეხის ხმა მოესმა. გოგი აღელვებული წამოდგა და ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა.

— ვინა ხარ? — ჩუმი ხმით იკითხა ბიცოლა კატომ.

— მე ვარ, მე, — უბასუხა გარეთ მდგომა და ხმაზე მამუჩა იტენეს.

მამუჩა შემოვიდა. ის მხიარული იყო და აღგზნებული თვალებით უამბობდა გოგისა და ბიცოლა კატოს, თუ როგორ გაუსხლტა ხელიდან პოლიციის

გუშაგებს. მამუჩამ ივახშმა. მერე თვალი ფანჯრებს მიაქცია და ფარდაგების აფარება მოიწონა. ამასობაში ისევ გაისმა ფრთხილი კაკუნი. ახლა მამუჩამ იკითხა: — ვინ არის?

— ნიუა! — უბასუხა ხმამ გარედან და სახლში შემოვიდა სწორედ ის მუშა, რომელიც დღეს კაპიტან-მა ზღვაში ჩაგდო.

გოგიმ შენიშნა, რომ ნიუაც მხიარული იყო და თვალები მასაც უელვარებდა.

ამის შემდეგ ხშირად ისმოდა კაკუნი კარებზე და სახლში სათითაოდ შემოლიოდენ მუშები. ყველა ისინი მხიარული სიცილით, მაგრამ ხმადაბლა ამბობდენ, თუ როგორის ხერხებით მოახწიეს კრებამდე.

ამის ათი საათი იქნებოდა, კრება რომ გაისწნა. მუშები ჩუმად ისხდენ. დაასახელეს თავმჯდომარე და შეიქნა მსჯელობა.

ამ დროს გოგი და კიდევ ორი მტკირთავი მუშა ეზოში იყვნენ ჩასაფრებული: მათ მოვალეობას შეაღენდა თვალი კარგად დაეჭირათ და თუ ახლომახლო რაიმე საეჭვოს შენიშნავდენ, ხელათვე ჩუმად ეცნობებით კრებისათვის.

გოგი ქუჩას ზვერავდა.

არავინ დაღიოდა ქუჩაში. ბავშს კარგად ესმოდა თავისი მოვალეობა და ჭისკარში ჩამჯდარი თვალებს ირგვლივ აცეცებდა; ამავე დროს მას კრების მსვლელობაც აინტერესებდა, თუმცა გოგიმ ბევრი რომ იცდა, იცოდა, მაგალითად, რომ ამ ღამითვე, როგორც კი კრება გათავდებოდა, მუშები წავიდოდენ ნაესაღებურში, იქ კი, ნაესაღებურის გადაღმა, ნაპირს ფარულად მოადგებოდა ერთი ღილი სანდალი და მოიტანდა მუშებისთვის იარაღს. ეს უბრალო საქმე არ იყო და გოგი ღელავდა, ღელავდა ისე, როგორც კრების ყველა მონაწილე და მთელ ხალ-ლონებს იკრებდა, ქუში რაიმე საეჭვო რომ არ გამოპარვოდა.

უეცრად ბავშს გული ძალუშად აუძგერდა და ტანში ურუანტელი დაუარა. მან კისერი ღაიგრელი

და თვალებს ძალის ატანდა, რომ კარგად გაერჩია...  
არა, გოგი არ ცდებოდა:

ცხადია, შორის ქუჩაში ორი კაცის ლანდი გა-  
მოქრთა და ხელათვე მიიმაღა. ორი ლანდი ისევ გა-  
მოეყო ლობებს, მერე თითქო გადმოხტენ და ისევ  
თვალს მიეფარენ.

ეს ძალიან საეჭვო იყო და გოგიმ ვერ მოითმი-  
ნა. მან ნელა, ოდნავ გასაგონად დაუსტევინა მეზო-  
ბელ გუშაგს; გუშაგი ჩუმადვე გამოეხმაურა და მო-  
ვიდა.

— ხედავ რამეს, გოგი? — იკითხა გუშაგმა.

გოგის ხმა არ ამოულია, შხოლოდ მიმართულე-  
ბა ანიშნა; სწორედ ამ დროს ორი კაცის ლანდი ისევ  
გამოჩნდა და უფრო გაბედულად გამოემართა სახლი-  
საჟენ.

— ხმა არ ამოიღო, გოგი! — გააფრთხილა გუშაგ-  
მა ბავში და თვითონ ჯიბეში იარაღი გაისინჯა.

გუშაგმა ჩუმად გაუზიარა გოგის თავისი მოსაზ-  
რება; რომ კრებისათვის ჯერ არაფერი ეცნობებიათ  
და თუ მართლა ცუდად წვეიდოდა საქმე, მაშინ თვი-  
თონვე გამკლავებოდენ ხიფათს.

გოგი დაეთანხმა.

ჩასაფრებულებს იმასობაში თანდათან უახლოვ-  
დებოდა ორი კაცი. ერთ მათგანს ხელში რაღაც გა-  
მოქრული ეჭირა და უფრო გაბედულად მოდიოდა.

გოგი დააკვირდა ამ ერთს და თვალებს არ უჯე-  
როდა.

„ნუთუ მამა?“ — ფიქრობდა გოგი და ხმა ვერ  
ამოელო. მერე ნამდვილად დარწმუნდა, რომ იაკინთე  
იყო, და გოგი ადგილიდან წამოდგა.

— დაჯექი! — მწყარალად დაუქახა ბავშს გუშაგმა,  
რადგან მან არ იცოდა, თუ იაკინთე მოდიოდა.

— მამა, მამა! — სიხარულით დაიძახა ბავშმა და  
წამოდგა.

ამ დროს ის ორი კაციც მოახლოვდა და გუშაგ-  
მა, რომელმაც გოგის სიხარულიც შენიშნა, მოახ-  
ლოვებულებს ჰქითხა.

— იაკინთე ხარ?

— ჰო, იაკინთე! — გაისმა პასუხი, და გოგი გა-  
დაეხვია მამას.

გუშაგმა ხელი ჩამოართვა იაკინთეს. მერე იაკინ-  
თეს მხლებელი მიესალმა ჩვენს გოგისა და გუშაგს.



ეს მხლებელი სოფლელი ბიჭი იყო. სწორედ ახლა მოიყვანა ნავით გოგის მამა და უკან დაბრუნება ძალიან ეჩქრებოდა. ამიტომ ის სახლშიც არ შეუპატიჟებიათ. იაკინთემ დიდი მაღლობა გადაუხადა სოფლელს, გოგიმ და გუშაგმა მას ხელი ლონივრად ჩამოართვეს. ის გავიდა ქუჩაში და სიბნელეში ჩაინთქა.

იაკინთე ხელათვე შეიყვანეს სახლში.

მთელი კრება ფეხზე წამოდგა და იაკინთეს მიესალმა. გოგი ახლა სახლში იყო და ხედავდა, როგორი სიხარულით ულიმოდა მამუჩა იაკინთეს.

— ცეცხლია, ცეცხლი, ეს ჩვენი იაკინთე! — ჩუმად ამბობდა მამუჩა. სხვები მამუჩას ეთანხმებოდენ.

როგორც ეტყობოდა, კრება გათავებულიყო და გადაწყვეტილებებიც გამოეტანათ. ახლა თავმჯდომარეს იაკინთე განზე გაეხმო და ამღამინდელ დადგენილებებს აცნობდა. იაკინთე თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა. მათ მაღლე გაათავეს ბჭობა და თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— ამხანაგებო, მაღლე შუალამეც გახდება. ჩვენ დავიშლებით და შეუმნევლად გავემართებით ნავსადგურის გადაღმა ნაპირზე. იქ ხალხი ჩასაფრებულია. დგანან გუშაგებიც. გუშაგებს ნიშანი დაუბრუნეთ. არავითარ შემთხვევაში თოფი არ გაისროლოთ. პო. ლიტიელებს ერიდეთ.

ამის შემდეგ მამუჩას ეზოში გუშაგები ადგილებიდან მოიხსნენ და კრების წევრები სათითოდ გაემართენ ნავსადგურისაკენ.

გოგი ახლა ერთ ადგილს ვერ ისვენებდა. მან იცოდა, რომ სახლში უნდა დარჩენილიყო და სახლში დარჩენა არ უნდოდა. ის მივიდა მამასთან.

— მამა, მეც წამოვალ! — სთხოვა ბავშვა იაკინთეს, მაგრამ იაკინთემ წარბები შეიქრა და უარი უთხრა. მერე ცოტაოდნად დაფიქრდა იაკინთე, გოგის მხრებში ხელი ჩავლო და შეანჯლია:

— ბიჭო, შენ ნამდვილი მებრძოლი ხარ!

სახლიდან უკანასკნელად მამუჩა გავიდა, ხოლო ბიცოლა კატო და გოგი კვლავ მარტოდ დარჩენ.

ბიცოლა კაცი არაფერს ამბობდა და გათითრებული იყო. მან ლოგინი გაშალა, გოგი დააწვინა, მერე სანათური ჩაქრო, ფანჯრიდან ჭილის ფარდავები ჩამოხსნა და დაწვა.

## ჩხრეპა.

გოგის არ ეძინებოდა. ის მოუთმენლად ტრიალებდა ლოგინში.

ბავშვი უნდებურად ყურს უგდებდა ყოველგვარ ხმაურს, თითქო რამეს მოელისო; მაგრამ ბნელობა ოთახში, ბნელობა ქუჩაში და ამ სიბნელეში მხლოდ შორეული ძალების ყეფა-ლა ისმოდა ხანდაზმით.

უეცრად ქუჩაში გაურკვევი ლაპარაკი გაისმა, და გოგიმ ყური სცვეიტა. უთუოდ ბიცოლა კატომაც გაიგონა ხმაური და მან შეშფოთებით დაუძახა გოგის.

— გოგი, გოგი, გძინავს?

— არა! — უპასუხა გოგიმ.

ლაპარაკი ქუჩაში შესწყდა და ახლა გოგის ეს-მოდა ფეხის ხმა. უთუოდ ეზოს მოუახლოვდენ; შემდეგ ჭისეარი გაიღო და, ცხადია, ეზოში ბევრნი შემოვიდენ. ვინ იყვნენ ესენი?

ვინ იცის! მხოლოდ რუსულად საუბრობდენ და ვიღაც ერთი განკარგულებას რუსულადვე იძლეოდა:

— ალყა შემოარტყით და გასასელელ კარებში გუშაგები ჩააყენეთ! — ხმამაღლა დაიძახა გარე ვიღაცამ და მაღლე კარები ლონივრად დაარახუნეს.

კარების რახუნზე გოგი და ბიცოლა კატოლოგინიდან წამოხტენ. ბიცოლა ენას ვერ იღებდა და ისევ გოგიმ ჭითხა დაუპატიჟებელ სტუმრებს:

— ვინა ხართ?

— კარები გაგვიღეთ! — რუსულად იძხოდა გარე მდგომი და კარებს ისევ არახუნებდა. გოგიმ კარები გააღო.

ბიცოლა კატომ აკანკ-ლებული ხელით სანათური აანთო და სახლში შემოვარდენ უანდარმები და პოლიციის მოხელენი. მათ აქაურობას თვალი მოავლეს და ერთმა მრისხანედ იკითხა:

— ნეტავ ის ვაჟბატონი სად იმაღება? აი, ისა, მამუჩა?

მამუჩას ხსენებაზე ბიცოლა კატომ ხელები გაშალა, არ ვიციო, თანაც ქართულად დაუმატა:

— მამუჩა დღეს არც კი მოსულა!

— სტყუი! — იყვირა მრისხანე უანდარმა და ხელი აიქნია. პატარა გოგის სისხლი თვალებში მოაწვა და მან რამდენიმე ნაბიჯი წინ გადასდგა, მაგრამ უანდარმა ხელი დაიღო.

— არა უშავს, — დაცინვით სთქვა უანდარმმა, — ის ჩვენ ვერსად წაგვივა!

მერე ის მოუბრუნდა გოგის და მოვონებული ფადილით<sup>1)</sup> ჭითხა:

— შენ, პატარავ, მოდი გვასწავლე, საღ ინახავს მამუჩას იარაღს?

გოგიმ წარბშეუხრელად უპასუხა:

— მამუჩას არავითარი იარაღი არა აქვს!

აშ სიტყვებზე ერთმა უანდარმმა მოახსენა უფროსს;

— არა თუ მამუჩას, ამასაც კი ექნება იარაღი ხედავთ, როგორ მარჯვედ გიპასუხათ?

მაშინ უფროსი სკამზე დაჯდა და განკარგულება გასცა, რომ სახლი გაეჩირიკათ.

იმ წამშივე დაიფანტენ ჩაფრები და დაიწყეს ჩხრეპა.

ფადილი — მოფერება.

ზოგმა ლეიბი გახია და შიგ ქალალდებს ეძებდა; დახიეს და დაანიავეს ბალიშები, საბნები. მერე ერთი კედელზე და იატაკზე კაკუნს მოჰყვა; ის ერთ აღვილას იატაკზე შეჩერდა და უფროსს უთხრა:

— აქ საეჭვო ხმა ისმის, უთუოდ იარაღია შენახული!..

უფროსის განკარგულებით ფიცრული იატაკი წამშივე აარღვიეს. მაგრამ მტვერის მეტი იქ არა იყო რა.

უანდარმებმა მხრები იჩეჩეს, მაგრამ ჩხრეკა არ შეუწყვეტიათ.

„კიდევ კარგი“ — ფიქრობდა ამ დროს გოგი — „რომ მაშის ქალალდებანი მაფრაშა იმთავითვე ეზოში გადამალეს...“

პო, ეს მართლა კარგი იყო, თორემ ის მაფრაშა აქ რომ აღმოეჩინათ, საქმე ცუდად წავიდოდა.

დიდხანს გაგრძელდა ჩხრეკა.

ვერაფერი აღმოაჩინეს და, ეტყობოდა, უანდარმების უფროსი ლელავდა. მაშინ მასთან მივიდა უმცროსი უანდარმი და უთხრა:

— მე მგონია, რომ ყველა ისინი სწორედ ნავსადგურში იქნებიან. აკი თქვენ თვითონ ხედავთ, ყველას სახლი გავჩერიკეთ, მაგრამ სახლში ვერავინ აღმოვაჩინეთ. ამიტომ, სწორი უნდა იყოს ცნობა, რომელიც საიდუმლო ნაწილმა გადმოვცა...

გოგის ეს საუბარი ესმოდა.

უანდარმათ უფროსი წამოდგა და ჩხრეკა შესწყვიტა.

ამის შემდეგ ისინი მალე გაშორდენ აქაურობას.

### „უდია გავაფრთხეობო“

უანდარმებისა და პოლიციელთა წასვლის შემდეგ სახლი არეული იყო. აყრილ იატაკზე ეყარა დანივებული თეთრეული. ივეჯი დაპირქვავებული იყო, ხოლო ჰერიში დაფართატობდა გაფატრული ბალიშებიდან ავარდნილი ბუმბული. მაგრამ ყველა ამას ყურადღებას არ აქცევენ არც გოგი, არც ბიცოლა კატო.

გოგიმ კარგად მოისაზრა, თუ რა ხითათი ელოდა ნავსადგურის გადაღმა ნაპირზე გამგზავრებულები. ცხადია, პოლიციამ იქვი იიღო და, უთუოდ, ახლა ჯარებს გავზანიდა მებრძოლთა შესაბურობად.

გოგიმ ეს ყველაფერი უთხრა ბიცოლა კატოს, თვითონ ქუდი დაიხურა და წასვლა დააპირა; უნდა და გავაფრთხილოო!..

კატომ არ გაუშვა:

— არა, არა! უმჯობესია მე თვითონ წავალ! — იძახოდა მოხუცი ქალი და აცახუხებული ხელით თავზე მანდილს იბურავდა. გოგიმ ერთი შეხედა ბი-

ცოლი კატოს და საჩქაროდ გარეთ გავიდა, თან დაუძახა:

— ბიცოლა, შენ შინ დარჩი და ჩემი დარდი ნუ გექნება! —

ბავში სირბილით გაემართა ცალიერ ქუჩაში. ბნელოდა. არავინ ჩანდა.

ბავში ცდილობდა ოობე-ლობე ევლო და ჩრდილში დარჩენილიყო;

შემთხვევით თუ ვინმეს წააწყდებოდა, პასუხიც მოიმარაგა; ეტყოდა:

— დედა ავად მყავს, ექიმთან მივრბივარო. მართალია, ეს ტყუილია და ტყუილი არ არს კარგიო, მაგრამ ამ დროს განა შეიძლებოდა რაიმე იმაზე უარესი, რომ იქ მებრძოლები დაეხოცათ?

გოგი გარბოდა.

ბავშმა თვალები შეაჩვია ღამეს და სიბნელეში თითქმის ყველაფერს კარგად არჩევდა.

არჩევდა, რომ სახიფათო ჯერ არაფერია და საეჭვოც არაფერი ჩანს.

სირბილისაგან გოგი ქოქინობდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა.

მან შეუმჩნევლად გაიარა შორი მანძილი.

მიახწია ნავსადგურს, საღაც ახლა ყველაფერი დადუმებულიყო.

ნავსადგურიდან ბავში სირბილითვე გაემართა ჭაობიან მინდორში.

მინდორში ჩირგვები იყო.

ჩირგვები მინდორში შავად მოჩანდა, ხოლო შორს, ჩირგვებს იქეთ, საღაც მინდორი ილეოდა, გადაშლილიყო სილიანი ნაპირი და ზღვა.

ღამეში ზღვა ფოლადისფრად ელვარებდა.

უთუოდ შუაღამეს გადასული იქნებოდა.

მართალია, ჯერ კიდევ შორს იყო ცისკარი<sup>1</sup>), მაგრამ საგანთიადოდ მიწურულ ღამეს ძალა წართმეოდა, და გოგიმ ბინდ-ბუნდში გაარჩია, რომ ზღვაში, ნაპირს, მოშორებით, დგას სანდალი, ხოლო სანდალთან მოძრაობენ მომცრო ლვილები.

გოგიმ უმატა სირბილს.

ბავშს გაურკვევი აღტაცება იპყრობდა; ფიქრობდა ბავში:

„მივირბენ ნაპირზე და დაუძახახებ. მებრძოლებს „სმენა! სმენა! მართალია, ჯერ არაფერი საეჭვო ჩანს მაგრამ უანდარმები თავდასხმას აპირებენ და მზადიყავით!“

ასე რომ დაიძახებდა გოგი, მებრძოლები მას ჰერითხავდენ საქმის ვითარებას და ბავში მათ გადასცემდა, თუ რა მოხდა ამასწინათ...

მაგრამ უეტრად გოგის ცხენების თქარუნი მოეშა. მალე ცხენების ნალმაც დარეკა ქვით მოკირწ-

<sup>1)</sup> ცისკარი — რიურაჟი.



ვინ მიდის სოფლის ბავშებთან?

ლულ ვიწრო ქუჩაში და უეცრად ნათელი შეიქნა,  
რომ მოჰკრის ცხენოსანი ჯარი.

ბავშს გონიერად ვერ მოეკრიფა; არც მოუფიქ-  
რებია მას, ისე დადგა შუა მინდორში, პირი ზღვი-  
საკენ მიაკუთა და, რაც ღონე ჭიქნდა, დაიყვირა:  
— ეანდარმები! ეანდარმები!

ამავე დროს, გოგის გვერდით გამოკრთა უზარ-  
მაზარი ცხენი ერთი, ორი და შემდეგ ბევრი. ცხენე-  
ბი მძიმედ ქშინავდენ და ზედ ისხდენ ყაზახები.

იმ წამშივე ვიღაც წვერებიანმა ცხენოსანმა მსხვი-  
ლი მათრახი მაღლა აიქნია და პაწია გოგის ღონივ-  
რად დაჰკრა. მათრახი თავსა და ზურგში მოხვდა და  
ბავში უგრძნობლად დავარდა.

რა მოხდა შემდეგ?

ჩვენს გოგის არ ახსოვს.

ისმოდა სროლა, ჩირგვებში თურმე ჩასაფრებუ-  
ლი ყოფილან მებრძოლთ გუშაგები, და გუშაგებმა  
ყაზახებს სროლა აუტეხეს.

ბევრი ყაზახი მოკვდა, ბევრი დაიქრა. ასეთ და-  
ხვედრას ყაზახები არ ელოდენ, პირველად აირიენ  
და იხევდენ, მაგრამ შემდეგ მათაც გააჩალეს სროლა.

ამ დროს გოგი ჩირგვებში ევდო.

ბავშს ცხენმა ტორი ფეხზე დაჰკრა, მაგრამ გო-  
ნებაწასულ ბავშს ეს არ უგრძნია.

## სამშვიდობოში.

სროლის ხმა მთელმა ქალაქმა გაიგონა.

გათენდა, მაგრამ დამფრტხალი მოქალაქენ  
რეთ გამოსვლას ვერ ბედავდენ. ამავე დროს  
გავრცელდა: მშვიდობიანი მცხოვრებლების და  
ლად ჯარებია გამოწვეულიო; თანაც წუხანდელი  
ლის შესახებ ნამდვილი არავინ იცოდა და ყა-  
ვარი ჭორი ვრცელდებოდა.

ამის გამო ხალხი ქალაქიდან გაიხიზნა.

მთელი ოჯახები მიდიოდენ მახლობელსა დ  
რეულ ტყეებში.

მიჰკონდათ სარჩო და საბადებელი.

მიჰყავდათ ბავშები და ძუძუმწოვრები.

ამ დროს ფართო მინდორზე, წუხელის  
ზღვის ნაპირად შეტაკება მოხდა, ეყარენ დახო-  
ბი; მაგრამ დახოცილებში არც ერთი მებრძოლ  
ჩანდა.

იმ ადგილას, სადაც გოგი უგრძნობლად  
ახლა არავინ იყო.

მაშ სად არის ჩვენი პაწია გმირი?

გოგი სამშვიდობოს იყო.

ის მამუქას მოეყვანა სახლში უგრძნობლად.  
ზურგიდან სისხლი სდიოდა; სისხლი მოერეცხა-

კრილობები. შეეხვით. საღამოხანს ბავში გახიზნეს ტყეში და ტყეში გოგისთან იყო ბიცოლა კატო და ერთიც დაჭრილი მებრძოლი.

გოგი გონს მოვიდა, მაგრამ დასუსტებული იყო და ენას ვერ აბრუნებდა. ოდესაც კარგად დაღამდა, ტყეში გახიზნულები ინახულეს იაკინთემ და მამუქამ. ისინი უვნებლად გადარჩენილიყვნენ და ბავშს თავს ევლებოდენ. მამუქამ და იაკინთემ ნელ-ნელა მოუთხრეს ჩვენს გოგის, თუ როგორ დასრულდა ყაზათა და მებრძოლთ შეტაკება.

### როგორ დასრულდა?

როცა იარალით დატვირთული სანდალი ნაპირს მოადგა, მაშინ მებრძოლთ გუშაგებმა ვერ მოითმინეს, საგუშაგო დასტოვეს და სხვებთან ერთად იწყეს სანდლიდან იარალის გადმოზიდვა.

ბევრი იარალი გადმოიტანეს. იარალს იქვე სილაში ჰულავდენ.

ისე ჩქარობდენ და ისე გაერთენ მუშაობაში, რომ არავის გაუგონია ყაზახების მოახლოება. მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა ყვირილი:

— უანდარმები! უანდარმები!

ვინ მოიფიქრებდა, თუ ამას ჩვენი გოგი იძახოდა?

ვერავინ ვერ მოიფიქრებდა და ვერც მოიფიქრეს. მხოლოდ საქმე ის არის, რომ ძახილზე გუშაგებმა სანდალს თავი ანებეს.

ისინი ყაზახების შესახვედრად გამოეშურენ და პირველად კიდეც შეაჩერეს ყაზახები. გაჩაღდა ბრძოლა.

სანამ აქ ესენი იბრძოდენ, სანდალი მოიხსნა და თავს უშველა. მართალია, სანდალი მთლიად ვერ დაეცალათ და ცოტაოდენი იარალი იქ კიდევ დარჩენილიყო, მაგრამ გადმოტანითაც ბევრი გადმოეტანათ და კიდეც შეენახათ.

სანდლის წასვლის შემდეგ ყველამ ერთად შეუტია ყაზახებს.

ყაზახები დაიბნენ და შედრეკნ.

ამით მებრძოლებმა ისარგებლეს და ნელ-ნელა გაეცალენ სანაპიროს.

მამუქა კი სრულიად შემთხვევით წააწყდა გონებაწასულ გოგის.

მაშინ ეს ჩვენი ვაჟეაცი მამუქა სიხარულით კინალამ ატირდა.

მამუქა ბავშს შუბლზე ეამბორა და შინისაკენ გააქროლა.

იმ წამსვე გაიგო ყველამ, რომ მებრძოლებს გაფრთხილების ნიშანი პატარა გმირმა მისცა, პატარა გოგიმ, იაკინთეს შვილმა.

ს. კასრაძე.





# პიონერები

სოფელი № ფერდობზეა გაშენებული.

ჩრდილოეთით ბუჩქებით დაფარული მთებია და ბუჩქებში ვიწრო ბილიკი მიიპარება. ბუჩქების შემდეგ კი იწყება უტეხი ტყე—ფიჭვის, კანდრის, არყის, მუხების...

რა ხე გინდა, აქ რომ არ ნახო! რა ნაღირი გინდა, აქ რომ არ შეგხვდეს!

ზაფხულობით ამ კლდეებში, მთებში და ლრეებში პირალესილი ნაჯახებით, წალდებით ფეხტიტველი გლეხები მიჰყებინ ბილიკებს და სჭრიან ასწლოვან ხეებს...

შემდეგ აგდებენ მდინარე ცხენისწყალში და ქვემო ჭალებში ამოაქვთ, აკეთებენ ტივებს და ტივები მისურავენ შორს სახერხი ქარხნისაკენ.

ტყეების იქით მოხანს სვანეთის თეთრი მთები და ცივი, მზით აბრკუვიალებული კავკასიონი...

ამ მთების მარცხნივ, ქვემოთ, სახერხი ქარხნის იქით, შორს, განსაკუთრებით იქ, სადაც აბაშის წყალი ჩანჩქერადა აქაფებული, რამით ანათებენ ელნა-თურების ცისარტყელები.

სამხრეთით კი გაღაშლილია ხოდაბუნი და აქვე იყლაკნება ფართო გზატკეცილი, რომელიც დასავლეთის მხრით უერთდება სამეგრელოს ქალაქებს.

სოფელი № პატარაა.

ქმნები ისლითაა დახურული და იშვიათად ნახავს კაცი კამიტის ან ყავრის სახურავებს. მხოლოდ ახლახან აგებული აგურის მკერდჩაკირული ქარხანა თუ შეადგენს სოფლის სიამყენს.

გვერდით კი რამდენიმე ხნის წინათ აგებული სახლი უმშვენებს მხარს და ზედ დროშა ფრიალებს..

შესა სოფელში დგას თეთრი, გაუქმებული ეკლესია, რომლის ირგვლივ აყრილია ნაძვის ტოტები.

სოფლის ბოლოს, სადაც უფრო სავენახე ადგილებია, მოსახლეობა არ არის მჭიდრო. ერთ-ერთ კუთხეში ამოლობილია პატარი ეზო და შიგ კი დგას მუხის ორთვალიანი სახლი.

ოდის წინ სალამურს უკრავს პატარა ბავში, სხელად გურა.

მას აცია დაკერილი პერანგი, ზარვალი განიღრი, დახეული. ნათლად ეტყობა რომ სხვისია. მამა?!?

მამის შესახებ არაფერი იცის. მხოლოდ გუში სალამის დეიდამ უთხრა, რომ მამამისი რეოლოუციონური მუშაობისათვის მეფის მთავრობამ დაიჭირა დაწამა...

მას აფიქრებს ეს და ხშირად გულიც აჩუკებული აქვს.

ახლა?

ის ცამეტი წლისაა.

ცხოვრობს დეიდასთან და ხშირად იცინის, თამაშის ბავშებში და ოჯახშიაც საქმობს.

## შემთხვევა.

ჯერ კიდევ მზე არ ამოსულიყო და გურა წყალდან მოარბენინებდა წყალს.

დეიდა უცდიდა ლობესთან და იქვე ახლოს ღელში კუუმალაობდენ რუხი იხვები, ბატები, ყვითელი ბჟიტები.

დროდადრო მათ შორის გაირბენდა ძალი ბუკანი და მაშინ ისინი სისინებდენ, შლიდენ ფრთხებს ბჟიტების დასაფარავად.

შარაზე ბლავიან ზაქები და მოწველილი ძროხები.

სენაჟში მიმავალი კასრებით დატვირთული ურმები, რომლებიც იქვე ათენებდენ ღამეს, უკვე აჭრიკინდენ და გზაზე აჲყარეს მტვერი.

პატარა ბიჭი, კოფოზე-დამჯდარი, დამატიქრებლად ალილინდა და კამერებს გადააწნა შოლტი. კამერები კი ზანტად მიაღავებდენ და სიმღერა იფანტებოდა შორს, შორს ტყეებისაკენ.

სოფლის საკრებულოში საღამოს მოწყობილია რაღიო. ახალგაზრდა ბიჭებს მოეყარათ თავი და რაცას ფიქრობდენ...

გუია ერთხელ დეიდასთან ერთად უსმინდა რა-  
დიო-კონტაქტს. მაშინ ვიღაც ახალგაზრდამ აუხსნა,  
როგორ მღერის ეს უსულო რეინა, ახლა კი ყოველ  
საღამოს დადის და ისმენს სიტყვებს, კონტაქტს...

გუია ცქინტი ბიჭია და ყველას უყვარს სო-  
ფელში.

ის ახლა ხშირად მხიარულია.

გუია მუდამ ბავშებშია

— ჰაიტ ჩელა! — დასკუვილებდა ის და მიქროდა  
მდინარისკენ და იქ აბანავებდა ოთორონს.

ყველას უკვირს გუიას ასეთი სითამამე და ამავე  
დროს ყველა ქებით იხსენიებს.

ერთხელ სოფელს ესტუმრა სენაკიდან საექსკურ-  
სიოდ წამოსულ პიონერთა კოლექტივი.

ოთხად ჩამწკრივებულნი, მცინარი სახეებით,  
დროშების ფრიალით და ღორიოტოტოს ძახილით  
აფხიზლებდენ სოფლის მყუდროებას.

ყველა მათ უყურებდა, ყველას უხარიდა.

გუია მაშინვე დაედევნა მათ ფეხდაფეხ და რო-  
ცა ისინი სკოლის ეზოში დაბინავდენ, მივიდა, გაიც-  
ნო და ცოტა ხნის შემდეგ თამაშიც დაიწყო...

გუის უხარიდა, რომ ქალაქიდან ჩამოსულმა ამ-  
ხანავებმა ამრიგად მიიღეს და მასთან საუბარიც გა-  
მართეს.

მან მაშინ პირველად გაიგონა ჩინეთის შესახებ  
ისე დაწვრილებით, როგორც არასდროს და ეს კი ჯა-  
ლაქელმა პიონერმა უთხრა.

მან იცოდა მხოლოდ, რომ ომია და რისთვის,  
ვინ ვის ეომებოდა — ეს არ იცოდა.

საღამოს ისინი ბრუნდებოდენ.

გუიამ იმათვან მიიღო პატარა წიგნი, რომელ-  
ზედაც ეწერა „კოცონთან“. კიდევ ბევრი ისაუბრეს,  
ითამაშეს და საღამოს კი ისინი ისევ ღორიოტოტოს  
ძახილით გაშორდენ სოფელს.

იმის შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე და ახლა,  
როდესაც ის წყაროდან მოდის, უყურებს იმ ეზოს  
და ყოველივე აგონდება.

წიგნი უბით დააქვს და თავისუფალ დროს კით-  
ხულობს. კითხვა დეიდამ დიდი ხანია რაც ასწავლა  
და ახლა მშვენიერად ერკვევა, თავისუფლად კითხუ-  
ლობს...

### ერთხელ

ჩვეულებრივად გუია იჯდა ოდის გვერდით და  
კითხულობდა პიონერის მიერ ნაჩუქარ წიგნს.

მის ფეხებთან იწვა ბადია და აქნევდა კულს. არ  
გასულა დიდი ხანი, რომ ბადია წამოვარდა და ყეფით  
გაექანა ჭისკრისაკენ...



ჭისკარს აღებდა სუფთად ჩაცი, რო-  
მელსაც ხელში ჩემოდანი და პატარა ჯოხი ჰქონდა.

ბადია მიქროდა საშინელი ყეფით, მაგრამ უცებ  
შეჩერდა და აწერული ფეხებში ჩაეკეცა და ტრუ-  
ვით გამოექანა უკან.

გუიას იცნო ბიძია არჩილი, სიხარულით აღტა-  
ცებული გადახტა ღობეს და კისერზე ჩამოებლაუჭა.

— ბიძია, ბიძია! შენი ჭირიმე!

— როგორა ხარ, ბიძიკო? — ეუბნება არჩილი და  
ალერსით წამოვიდენ ერთად.

ამ დროს სამზარეულოდან ფქვილით დასკრილი  
კაბის ბერტყვით წამოვიდა დეიდა მარიამი, მას სხვე-  
ბიც მიჰყენენ, მიესალმენ და სიცილ-ხარხარით შევი-  
დენ შინ.

გუია არ შორდებოდა არჩილს. უფრო მიტომ,  
რომ არჩილმა მას ახალი ტანისამოსი მოუტანა.

ყოველ წუთს ისწორებდა ტანზე და უნებლიერ  
ეცინებოდა. რა გულკეთილია ბიძია არჩილ, რა მო-  
სიყვარულე პატარა ბავშვების!

— როდის მიღიხარ, ბიძია, ქალაქში! — შეეკითხა  
დარცხვენით გუია.

— ზეგ და შენც ჩემთან ერთად წამოხვალ, ხომ?

— საღ? — გაიკვირვა ბავშვა.

— ქალაქში, ჩემთან. იქ გასწავლი, სკოლაშიც  
შეგიყვნ და...

— კი, კი, მე მხად ვარ წამოსასვლელად! — წა-  
მოიძახა აღტაცებით და ჩამოებლაუჭა ჭისკარზე, მაგ-  
რამ უცებ შეჩერდა და შეეკითხა.

— დეიდა?

— ისიც წამოვა, მხოლოდ შემდეგ!

გუიას ცოტათი ჩაფიქრებული გამოშეტყველება  
მიეცა.

### მგზავრობა

ეს მოხდა მეორე დღეს.

გუიას თვალი აცრემლებული ჰქონდა, როცა წა-  
სასვლელად მოექმიადა, უფრო მიტომ, რომ ნაცნობი  
ადგილების, მეგობრების და დეიდას დატოვება ენა-  
ნებოდა.

— იქ ხომ ყველაფერი უცნობი იქნება? იქ ვერ  
ვნახავ ამათ! — ფიქრობდა ის.

უკვე მოსაღამოვდა, საცაა უნდა მოშორდეს ამ  
მიღამოს და ის ახლა დარბის ეზოში, მიდის ყველ  
ხესთან, აკენე ებს სალამურს, ეთამაშება ბადიას, თით-  
ქოს უკანასკნელ საღამს აძლევდეს და ეუბნებოდეს:  
„მშვიდობით, ნახვიდე“...

მაღვე ბიძია არჩილიც მოვიდა ეტლით და ბარ-  
გი გამოიტანეს სახლიდან.

გუიას გული უკანკალებს, არ უნდა ნაცნობი მ-  
დამოს მოშორება, მაგრამ ამავე დროს ძალიან უნ-  
ქალაქში წასვლაც.

ბოლოს დეიდამ გადაკოცნა და ეტლიც გაუდ-  
გზას.

### შემდეგ

გაიარა ერთმა წელში.

ის თანდათან შეეჩინა ამანაგებს. სწავლობს ბ-  
ჯითად და პიონერთა კოლექტივში ერთ-ერთ აქტ-  
ურ წერვად ითვლება.

ასრულებს მრავალ დავალებას და თვითონა  
უხარის, რომ ენდობიან...

აცვია ლურჯი მოკლე შარვალი და თეთრი გულ-  
ამოლებული პერანგი.

### ჩვენ ვემზადებით

— საღ იყვავი ამდენხანს? — შეეკითხა არჩილი, რ-  
ცა ნახა გვიან მოსული ბავში.

გას სახე გაუბრწყინდა, თვალები უცნაურად იქ-  
თო და ღიმილით დაიწყო:

— ზეგ იწყება ჩევენი დღესასწაული... ჩვენ ვე  
ზადებით. მე მომანდეს პატარა დროშების დაკეთებ  
და წესრიგის დაცვა...

— ყოჩალ, ყოჩალ! — მოუწონა არჩილმა და თ-  
ზე ხელი გადაუსვა.

ის კი ფიქრობდა დღესასწაულზე და დავალება  
ბის შესრულებაზე.

### წინადღით.

პიონერებს ადრე მოეყარათ თავი.

— გრიშა, ზარმაცობ? — ხმაურობს ერთი.

— მე ზარმაცობა არ ვიცი!

— კაკოს უყურე, რა დაუხატავს?!

— ბიკოს! ყოჩალ, კაკო!

— ვინ სთქვა, კაკო არ ვარგაო!

— აბა ტყუილად აჭმევს მამამისი საჭმელი?—  
ხუმრობენ სხვები.

ოხუნჯობენ, იცინიან...

კაკომ ოდნავ გაღიმებით შეხედა მათ და ხატ-  
ისევ განაგრძო.

ეს ხდება კოლექტივის ერთ-ერთ დარბაზში.

ზოგს კიბიდან ჩამოაქვს ნაძვის ტოტები, ვა-  
დები... მავთულები.

ზოგი ფართო ქალალზე სწერს ლოზუნგებს  
ხატავს კარიკატურებს.

გუია კი წითელ ტილოზე თეთრი ასოებით სწერ  
„იყვა მზად“.

ზოგი კედელზე აკრავს ბელადების სურათს დ-  
ირგვლივ გირლიანდებს უკეთებს.

ყველა მუყაითად მუშაობს... უხარის ყველას...

— ხვალ ჩვენი დღესასწაულია!..

საღამომდე მუშაობდენ ასე ერთსულოვნად... სიხარულით...

საღამოს ღრუბლები სამხრეთისაკენ გადაიწმინდა და ცის კიდურზე გამოჩნდა ოქროსფრად ანთებული ჩამაჯილი მზე.

### მეორე დღეს

ოთხად ჩამწერივებულებმა, ტიტველი მუხლებით, შეყობრად, ლამზად გაიარეს ერთ-ერთი ქუჩა...

წინ მუსიკა მიუძლვით და პიონერებიც მხიარულად, მცინარი სახით მიჰყებიან ერომანებს ფეხდა ფეხები.

დროდადრო მათ აღმოხდებათ სიმღერა და ბავშის აკანკალებული ხმიდან სცვივა ასეთი სტრიქონები:

„მზე გვიცინის,

მზეს ვუცინით

და მივდივართ წინ“...

ისინი უახლოვდებიან ტრიბუნას, რომელიც სახეიმოდაა მორთული.

უკვე დაიწყეს ტრიბუნიდან ორატორებმა სიტყვის გადაშლა. ყოველი ორატორის სიტყვას ტაშის ქარტეხილი ფარავს...

სიტყვას ამბობენ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები...

აი, ეხლა ტრიბუნაზე აღის გუია, ამდენი ხალხის თვალები მხოლოდ მას შეაჩერდა.

თითქოს ესმის:

— ამან რა უნდა სთქვას!.. ეს რა პატარაა... ა, რა ხარბად უყურებს ხალხი!.. ყველა გაჩუმდა, მოძრაობაც შეწყდა.

გუის გული აუთრთოლდა, თითები აუკახცახდა და მთელ სხეულში თითქოს ცივი ურუანტელი უვლის.

ბიძა არჩილიც აქ არის. ალბათ მიტომ მოვიდა, რომ ენახა ტრიბუნაზე ასული გუია...

მან ხომ უთხრა, სიტყვა უნდა ვთქვაო...

გუია ცახცახებს, თრთის...

ერთხელ კიდევ გადახედა მან შეშინებული, და-მფრთხელი თვალებით მოზღვავებულ ხალხს...

ერთხელ კიდევ გადახედა კოხტად ჩამწერივებულ პიონერებს, იქიდან მას შეაჩერდა მღუმარი სახეები ამხანაგების და გული გაუთამამდა...

ეს ხომ ამათი სახელით ამბობს სიტყვას...

ხომ მასზეა დამოკიდებული მთელი კოლექტურის სახელი.

ეს იცის მან და გული უფრო და უფრო უმაგრდება და, აი, ის იწყებს.

— ამხანაგებო!..

მთელი ზღვა ხალხი სმენად იქცა და შეაჩერდა.

ის კი უფრო მკვეთრად ისროლა სიტყვებს და ბოლოს მისი სიტყვები ძლიერდა ტაშმა დაფარა.

ა. ჩაჩიბაია.



პიონერები ბუნებაში.

## ზეითუ სოფლად

მოისმის პიონერთა სიმღერა. გამოჩნდება პიონერ-კოლექტივი. მას მოუძღვის წინამშლოლი. კოლექტივს მი-ყვება აქტომბრელთა ჯგუფი, კოლექტივი შესდგება. ხელმძღვანელი მიმართავს პიონერებს.

სმენა! ოქვენ ხომ იცით,  
ზეიმს ვეგებებით!  
ხალხი იკრიბება,  
ჩვენზე უფროსები,  
და მათ უნდა შევხვდეთ,  
როგორც ჩვენ შეგვფერის,  
მოვიხადოთ ყველამ  
ვალი პიონერის,  
ერთხელ გავიაროთ  
ჩვენ პროგრამა კიდევ,  
სანამ ხალხი კრებას  
ზეიმით გახსნიდეს.  
(მიწის მუშებს)  
ოქვენ კი, უფროსებო,  
წარმოადგენთ კრებას.  
გთხოვთ, რომ ყველა მიჰყევთ  
თავმჯდომარის ნებას,

**მიწის მუშები** — ოპო, აბა, აბა!  
ჩვენ მზადა ვართ, მზადა!  
ოქვენ თამაშს ვუყურებთ,  
აბა, ასწით ფარდა.

**წინამძღოლი** — მაშ დავიწყებთ ეხლა (პიონერებს).  
დაეწყვეთ ყველა!  
(დაეწყობიან საპატიოდ, გაუვლიან. გლეხებს, მღერიან).

გავშალოთ მზიური  
ჩვენ დროშა წითელი,  
ვიმღეროთ ლაშქრული,  
მტრის შურის მომგვრელი.  
ხომ გვჯერა, რომ ყველას  
გული გვაქვს ძლიერი,  
სახეზე გვიბრწყინავს  
ლამაზი იერი!  
გავშალოთ დროშები  
მზის სხივით ნაფერი,  
ფეხთ გადაგვეშლება  
გზად სუყველაფერი.  
(პიონერები გარს უვლიან გლეხებს. უკანასკნელე-  
ბიც ჭრეს აკეთებენ და პიონერებს აჲყვებიან) ყველანი  
მღერიან)

ვაშა, ვაშა, ჩვენო მხარევ,  
შრომის საქართველოვ!

ვაშა, ვაშა ცეცხლის დროშას,  
ვაშა შენ, შშრომელო!

**წინამძღოლი** — (ყველას) სდექ!

ალთქმა პიონერის (გამოდის პიონერი),

**I პიონერი.** — ოქვენს წინაშე ფიცს ვდებთ,  
პროლეტარულ ალთქმას,  
რომ ჩვენ შევასრულებთ,  
ჩვეს მტრებებს და ადათს.  
სვლა მტკიცეა ჩვენი,  
მომავლის შეიღების,  
ლენინის გზით წავალო  
და არ დავიღლებით.

(გლეხები ესალმებიან პიონერებს).

**გლეხი** — გიძლვნით სალამს ნორჩებს  
და მზიურ ყვავილებს,  
ვაშა პიონერებს,  
ვაშა შრომის შეიღებს!  
მაღლა გქონდეთ დროშა,  
წითლად შენაღები,  
მტკიცედ წინ-წინ გასწით  
არჩეული გზებით.

**წინამძღოლი** — ვაშა!

ყველა — ვაშა, ვაშა, ვაშა!

**წინამძღოლი** — სალამი ჩვენგან!

(გამოდის პიონერი)

**II პიონერი** — ჩვენც მოგიძლვნით სალამს,  
სალამს პიონერის,  
ძირს არ დაგხრით ალამს,  
მივალო წინ სიმღერით,  
გაუმარჯოს ზეიმს,  
შშრომელ საქართველოს,  
აწი სისხლის არ დალვრის,  
სხვასაც მიეშველოს!

**ყველანი** — ვაშა, ვაშა, ვაშა!

**წინამძღოლი** — გაუმარჯოს წითელ

ყველა — შშრომელ საქართველოს (ტაში)

**წინამძღოლი** — (პიონერებს) იყავით მზად!

**პიონერები** — მზად ვართ მარად! (ტაში)

**წინამძღოლი** — ასეთი არის ჩვენი პროგრამა.

ახლა ვიმღერებთ ინტერნაციონალს.

(მღერიან) ფარდა...

**ს. ეული**



# უ უ უ უ კ

უუჯას გამოეღვიძა და დაინახა თოვლივით თეთრი კედლები, გრძლად რიგში ჩამწერივებული კრაოტები, რომლებზეც წამომჯდარი და წამოწოლილი იყვნენ თეთრ ხალათებში ჩატული გამხდარი, ღონებითი ქალები.

„ნეტავ სად ვარ?“ — გაიფიქრა უუჯამ და ღრმად ამოიხსრა. მწარე ტკივილმა ისე უჩხვლიტა მას გვერდში, თითქოს მძიმე ჩაქუჩი დაარტყეს თავზეო. ტკივილების გამო უუჯას მეტისმეტად უძნელდებოდა სუნთქვა და ამიტომ მან ისევ მინაბა თვალები.

ვიღაც მიუხახლოვდა მის საწოლს და უუჯამ იგრძნო თავის პირისახეზე ვიღაცის ხელი.

— უკვე მოვიდა გონს, მაგრამ ჯიუტობს, — სთქვა ქალმა, რომელიც იდგა უუჯას საწოლთან და თბილად უსამდა ხელს პირისახეზე. — ერთი შეხედეთ ამას, როგორ განზრახ ხუჭავს თვალებს და თვითონვე იძნელებს სუნთქვას.

— ასეთი პატარა და ასე ჯიუტი ჯერ არ მინახავს, — უპასუხა ქალს მამაკაცმა.

— ო, განა არ გაგიგით, როგორ უკბინა მან უანდარმს ხელზე?

„უანდარმს ხელზე?“ — გაიფიქრა უუჯამ. — „დიახ, დიახ, ეს სიმართლეა... მაგრამ სად არის დედა, ჩემი საყვარელი დედა?“

— დედიკო! — წამოიძახა უუჯამ, მაგრამ საბრალო უუჯა ისე იყო დასუსტებული, რომ მისი ხმა ძლიერ იყო გასაგონი ახლო მყოფთათვისაც კი... მან გაახილა თვალები და დაინახა მასზე დახრილი თეთრი თავსახევიანი ქალი თეთრ ხალათში.

— სად ვარ? — ჰერთხა მას უუჯამ.

— შენ პოსპიტალში ხარ, გოგონავ. ჯერჯერობით არა გაქვს აღელვებისა და ბევრი ლაპარაკის უფლება. ცოტა მოითმინე, დამშვიდი და შემდეგ გაიგებ უველაუერს.

— მე პოსპიტალში ვარ? სად არის დედა-ჩემი?..

უუჯას საწოლთან მივიდა ოქროსსათვალებიანი, ხანში შესული კაცი. მას ბეკექასავით მხოლოდ ნიკაპზე მოეშვა თავისი შეთეთრებული და შეთხელებული წვერები.

„ექიმია, ალბათ“ — გაუელვა თავში უუჯას და მოინდომა წამოდგომა, მაგრამ ისე მწარედ უჩქმიტა გვერდში ტკივილმა, რომ მეტისმეტი სიმწრისაგან საცოდავად დაიკავლა.

— აბა სად გტკივა? — ეკითხებიან მას ქალი და ექიმი.

— გვერდი მტკივა, გვერდი, — პასუხობს უუჯა.

— კიდევ სად გტკივა?

— ფეხი...

— აქ არა გტკივა? — ეკითხება ქალი და ხელი შეახო შუბლზე.

უუჯამ მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ მას მთელი თავი მთლიანად შეხვეული აქვს ბინტებით.

— აქაც ძლიერ მტკივა... პირი მცწვის...

— რა უქნიათ საწყალი ბავშისათვის... ასეთი პატარა და მისი ამრიგად ცემა შეიძლება!?. — წაილულუდა ექიმმა.

— ექიმო, ამის შესახებ მე გავიგე ამ შემთხვევის თვითონ უშუალო მნახველისაგან: ეს გოგონა თურმე ისე იბრძოდა, როგორც ძუ ლომი.

— მერე თქვენც გჯერათ ეს? როგორც ლომი კი არა და შეიძლება როგორც კატის კწუტი იბრძოდა, არა? — სთქვა ექიმმა და მაღიანად გაღიხარხარა.

— რამდენი წლისა ხარ, პატარავ? — ჰერთხეს უუჯას.

— თოთხმეტის, — უპასუხა უუჯამ და მყისვე გაიფიქრა:

„ეს შეიძლება ვუთხრა, ამით, მე მეონი, არაფერს ვიტყვი ზედმეტს.“

უუჯას რატომლაც ძლიერ აუზუყდა გული და ცრემლები მოაწვა თვალებზე.

— ხელათ, დაო, ეს თოთხმეტი წლისაა. აბა რა უნდა ჩაიდინოს ასეთმა ბავშა?

— მე უანდარმთა ოფიცერმა გადმომცა, რომ  
ეს ბავში ყველაზე უფრო საშიში ბოლშევიკი იყო.

— წარმოდგენილი მაქს, თუ რამდენად საშიში  
იქნებოდენ დანარჩენები!.. სალამოს მას უნდა გამოე-  
ცვალოს ბინტი და მხოლოდ ბულიონს აჭმევთ; მეტი  
არაფერო არ შეიძლება, — უთხრა მოწყალების და  
ექიმება.

ისინი წავიდენ. მიიხურა კარები და ოთახში  
სრული მყუდროება ჩამოვარდა.

მაგრამ არ გაუვლია ერთ წუთსაც, რომ იატაკ-  
ზე გაისმა შიშველი ფეხების ხმა და უუჯასთან მივიდა  
ორი უცნობი ქალი. მათ შიშის გამო ცალი თვალი  
კარებისაკენ ეჭირათ. ერთი მათგანი, მოხუცი, რო-  
გორც შემდეგ გაიგო უუჯამ, იყო ძალუა კაპინიეკი,  
მეორე კი — ახალგაზრდა, ანუ შეკა.

— გლვიძავს, პატარა ბოლშევიკო? სუ...უ...უ...  
ჩეუბად, ლაბარაკი არ შეიძლება... — სოქვა მოხუცმა  
და შეშინებული თვალებით კარებისაკენ გაიხედა.

— ჩვენ ყველაფერი ვიცით... თუ როგორ  
მოხვდი აქ, ამის შესახებ მერე გეტუვი... აქ იყო უან-  
დარმის კაპიტანი... შენ შემდეგ დაგვითხავენ... ჩვენ  
ცენტრალურ პოლიტიკურ სამმართველოს პოსპიტალ-  
ში ვიმყოფებით; წელან რომ ქალი იყო შენთან,  
ის მოწყალების დაა. იმას ნურაფერს ნუ ეტუვი...  
სუ...უ...უ... აქეთკენ მოდიან...

და ძალუა კაპინიეკიც და ანუ შეკაც საჩქაროდ  
გაშორდენ უუჯას საწოლს.

მოისმა დეზების ხმა.

— დანარჩენები ვერ დავიჭირეთ, — ეუბნებოდა  
მოწყალების დას უანდარმთა ოფიცერი და ამ ღაპა-  
რაკში უახლოვდებოდა უუჯას კრონცი. ისინი ჩახტენ  
ნავში და მიიმალენ სიბნელეში. ეშმაკმა წაილოს იმა-  
თი სული და ხორცი! სროლის ღროს ვილაც დაიჭ-  
რა და, კვალის მიხედვით, ქალი უნდა იყოს.

„ეს დედახემია!“ — იფიქრა უუჯამ და ისე აუ-  
ფანცეალდა გული, როგორც სასიკვდილოდ დაკარილ  
ფრინველს.

— როგორ გრძნობს თავს ჩვენი პატარა? —  
იკითხა ოფიცერმა და უუჯასაკენ დახარა თავისი ქერა-  
ულვაშა, მეტის სიმსუქნისაგან გაფუუბული პირისახ.  
იგი ცივი თვალებით დააცეკრდა ავადმყოფს.

მის მკერდზე პორტიალობდენ სხვადასხვა სახის  
და ჯურის ორდენები.

— ეს. ქალი მოგარჩენს შენ. შემდეგ კი შენთან  
მოსალაპარაკებელი საქმე მექნება და მოვილაპარაკოთ.  
ჯერჯერობით შვეიცარი!

იგი ზრდილობინად გამოემშვიდობა მოწყალე-  
ბის დას და გავიდა გარეთ.

— ეს შტაბსკაპიტანი კრახულეცია, — სოქვა  
ძალუა კაპინეკმა. — საძაგელზე საძაგელი ადამიანია!

იგი შენ გეფერება და გელაქუცება, მაგრამ ამ ცეცხ-  
მას. იგი ცდილობს გამოგტყუოს რამე. ფრთხილად  
იყავი!

უუჯამ დახუჭა დაღლილი თვალები და მაღლ  
დაიძინა.

ძილში მან ნახა თავისი შამა. იგი ცოცხალი  
იყო, არ ეკიდა სახრჩობელაზე.

მას ეცვა ტყავის ქურთუკი. ქულზე უბრწყინვა-  
და წითელი ვარსკვლავი.

აი, მან აიყვანა ხელში პატარა ბელურა, რომე-  
ლიც იჯდა მის ხელისგულზე და თავისებურად ჭიკ-  
ჭიკობდა.

— ეს შენ დაიჭირე, ძია ტოლია? — ჭკითხა მან  
მოხუცს. — გმადლობ, აზხანავო! — უთხრა უუჯას მამამ  
მოხუც ტოლიას და თავი დაუკრა ამ უკანასკნელს. —  
მე არასოდეს არ დავივიწყებ შენს მზრუნველობას  
ჩემს პატარა გოგონაზე. ალბათ, დაღება დრო, რო-  
დესაც მე შემეძლება გადაგიხადო სამაგირო პატივის-  
ცემა. კიდევ იქნება ბუდაცემტში პროლეტარული  
რევოლუცია და შენ, მოხუცს, არ დავივიწყებს შენს  
ამაგს წითელი კომისარი ისახებ გერი.

ასე ერქვა უუჯას მამას.

ძია ტოლია ჩიბუხს აბოლებდა და ნიკოტინი-  
საგან გაყვითლებული მისი ულვაშები ისე იჩხოდენ  
ლიმილისაგან, თითქმის ძლიერი ქარი უბრავის. მას  
თვალები ნახერად დახუჭული ჰქონდა, მაგრამ გაინც  
ადვილად ემჩერადა, რომ ძლიერ სიამოვნებდა ქება  
უუჯას მამისაგან.

უუჯა მივიდა მამასთან და შეახო ხელი მის მარ-  
ცხენა გვერდით ფართე ღვედის ქამარზე ჩამოკიდე-  
ბულ რევოლვერს ყვითელ ბუღეში.

— დიდი ხანია არ ვყოფილვარ სახლში, — სოქვა  
მამამ, — და ახლაც რამდენიმე წუთით მოვედი. ისევ  
უნდა წავიდე; მეჩქარება.

იგი მივიდა დედასთან და მოეხვია მას. მხოლოდ  
ახლა შეამჩნია უუჯამ ღედამისი. ეს უკანასკნელი  
იღება მაგიდასთან და ისე კისკისებდა, როგორც არა-  
სოდეს.

— მაშ, მშვიდობით, — სოქვა მამამ და გავიდა  
სახლიდან.

მღინარე ღუნაის ციცაბო ნაპირზე იღება ჰერო-  
პლანი. მისი ერთი ფრთა დაკიდებული იყო უფსკრულ  
ზე. აი, ამ ჰეროპლანში ჩაჯდა მამა.

— იგი არ ჩაგარდება წყალში?

— ნუ გეშინია, ჩემო გოგონავ, ეს ჰიდრო-  
პლანია!

მანქანა გასრიალდა წყლის ზედაპირზე, შემდეგ  
ავიდა მაღლა ჰაერში და გაფრინდა შორს შორს, ჩე-  
პელსკის კუნძულს იქით.

უუჯამ წამოიყვირა და გამოეღვიძა. ოთახში ბნელოდა. მთელ სხეულში სისხლის ნაცვლად თითქოს მძიმე ტყვია აქვს ჩასხმული; ყველაფერი სტკივა უუჯას და ამასთან ერთად ხან აკანკალებს სიცივის გამო და ხან თითქოს გაღვივებულ ცეცხლში გდია ზედმეტი სიცხისაგან. უუჯას მოაგონდა თავისი დედა და ტირილი აუვარდა... ტირის, ისე გულამოსკვნით ტირის უუჯა, რომ მისმა ცრემლებმა სულ მთლად დანამა ბალიში.

## II.

რამდენიმე დღის შემდევ საღამოთი უუჯა წამომჯდარიყო თავის საწოლზე. იგი იყო გამხდარი, შავთვალწარბა, შავთმანი გოგონა. მისი თვალების ქვედა ნაწილს ნათლად აჩნდა უანდარმთა მუშტების კვალი. ისე დაუზოგავად და იმდენი ეცემნათ იმ მხეცებს, რომ საბრალო ბავშვს თითქოს მეორე წყვილი თვალები გამომიაო, ისე ჰქონდა დალურჯებული თვალების ქვედა ნაწილი; უუჯას ორ წინა კბილსაც ვერ გაეძლო უანდარმთა ღონისათვის და სამუდამოდ განშორებოდა თავ-თავის საბუდარს; ამრიგად დასახიჩრებული უუჯა გამხდარ, ტანით პატარა მოხუც დედაბერს უფრო წაგავდა, ვაღრე თოთხმეტი წლის გოგონას.

უუჯას ფეხებთან კრაოტზე იჯდა წელში მოხრილი ძალუა კარპინეკი, რომელსაც დროგამოშვებით


ახველებდა მას ახველებდა სისხლს და ეს მას შემდეგ, როდესაც ერთ ღამეს დაიჭირეს მისი ქმარი და ერთ-ერთმა უანდარმთაგანმა გულმკერდში უთავაზა კარპინეკს თოფის კონდახი. ანუშკა, რომლის ახალგაზრდობაც არ დაინდევს უანდარმებმა და ძალზე სცემს, იჯდა ტაბურეტზე ძალუა კარპ-ნეკის გვერდით.

— აბა, ახლა გვითხარი, როგორ მოხვდი აქ? — ჰკითხა უუჯას ძალუა კარპინეკმა.

— დამიგდეთ ყური. მე თქვენ ყველაფერს გიამბობთ თავიდან ბოლომდე.

„ჩვენ ვცხოვრობდით ბუდაპეშტში. მამაჩემი მწის საზიდ იარაღებზე მუშაობდა და ამიტომ მას უხდებოდა ყოფნა ტალახში, სიცივეში და სინესტეში. საღამოობით მამას თითქმის ყოველთვის სტკიოდა ფეხები და დედახემი ქაფურის სპირტით უზილავდა მტკივან ადგილებს. ერთ მშვენიერ დღეს სხვებთან ერთად მამაც წაიყვანეს ომში, დედა კი შევიდა მუშად იქვე ყუმბარის დამამზადებელ ქარხანაში. მამაჩემის ომში წასვლის შემდეგ ჩვენ — დედახემი და მე — ძალუა ვიტრასთან დავბინავდით.

დედახემი ყოველდღე ისე დალლილ-დაქანცული ბრუნდებოდა ქარხნიდან, რომ ჭამის ხალისიც კი აღარ ჰქონდა, სამაგიეროდ თითქმის ყოველ წუთს გვეკითხებოდა:



— ხომ არ ყოფილა ფოსტალიონი?

იგი ყოველდღე გულისფანცქალით მოელოდა წერილს მამაქემისაგან.

ვიდრე დადგებოდა ზამთარი, ჩვენ მხოლოდ სამი ღია ბარათი მოგვივიდა. ერთ-ერთ მათგანში მამა სწერდა: „არ ასრულებს თავის სიტყვას თავგასახმობი გერძანის კაიხერი, ეშმაქმა წაილოს მისი თავი, არ ასრულებს იგი თავის სიტყვას და ამიტომ ჩვენ ამ ზამთარში ვერ დავბრუნდებით შინ, აღარ უჩანს ომს ბოლო.“

ამ წერილის გამო დედაქემი ტიროდა, ძალუა ვიტრა კი ლაპარაკობდა:

— უმჯობესი იქნებოდა, რომ იოსები ასეთ სისულელებს არ იწერებოდეს. ეს კიდევ უფრო ცუდია მისთვის.

დედაქემი მაიძულებდა გულმოლენედ მეკითხა „გმირთა გალერეა“ იმ მიზნით, რომ გაგვეგო, ხომ არ არის მოკლულთა სიაში იოსებ გერი 332 ქვეითი პოლკიდან.

ზამთარში ჩვენ რუსეთიდან მოგვივიდა წერილი მამასაგან: თურმე ტყვედ ჩაფარდნილიყო იგი.

ამ ამბავმა დედა ძლიერ გაახარა და აღაფროვანა.

ძალუა ვიტრა კი ძალიან უქმაყოფილო დარჩა და დედაქემს სამშობლოს მოღალატედ ნათლავდა.

— განა უნდა გიხაროდეს, — ლაპარაკობდა იგი, — როდესაც ვაუკაცი ტყვედ უვარდება მტერს ხელში!

მაგრამ მის ბუზღუნს დედაქემი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

და, აი, როდესაც დედა გადაიყვანეს ჩეპელსკის ქარხანაში, მამა დაბრუნდა ტყვეობიდან. იგი ძალზე გამხდარი იყო და თავისი შემოხეული ტანისამოსით უფრო მათხოვარს მოგაგონებდა, ვიდრე მამაქემს.

მან სულ ერთი ღმე დაჰყო ჩვენთან სახლში. მეორე დღეს ისევ უნდა დაბრუნებულიყო ყაზარ-მში.

— კიდევ გაგაგზავნიან ფრონტზე, — ეუბნებოდა დედაქემი.

— მერე რა, რომ გამაგზავნიან! ერთი მე მკითხონ, წავალ? იტალიის ფრონტზე აღარ წავალ. მე ბევრი რამ ვისწავლე რუსეთში ტყვედ ყოფნის დროს და ვიცი, რომ შეიძლება სულ სხვაგვარად მოიქცე.

დედას ცრემლები წამოსკდა თვალებიდან და ტირილით უხთხა მამას:

— შენ ნუ გამოიდებ თავს, თორემ ბევრს არ გალაპარაკებენ... უცებ იციან ანგარიშის გასწორება: აიღებენ და მიგანვრეტენ. ამიტომ უმჯობესი იქნება

ითხოვო შვებულება; შემდეგ კი ჯველა შევეცადოთ, რომ მთლად გაგათავისუფლონ ჯარიდან.

— მე არავისთან არ ვითხოვ შვებულებას. თვითონ მევე გავითავისუფლებ საკუთარ თავს, მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ მე სასაკლაოზე წავალ სასიკვდილოდ, — უპასუხა მამაქემმა მოკლედ და დამარწმუნებელი ხმით დედაქემს ხვეწნა-მუდარაზე.

მეორე დღეს დედაქემი არ წასულა სამუშაოდ. მთელი დღე იდგა იგი ჩემთან ერთად ყაზარმის ერებთან, მაგრამ მამა აღარ გამოდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, საღამოებას ყაზარმის კარგებთან გამონდა ჯარისკაცების რაზმი. მამაც იმათ შორის იყო. მან იხელთა დრო და სიარულშივე გვითხრა:

— წადით შინ. მე ფრონტზე მივდივარ.

მთელი ღამის განმავლობაში მე და დედაქემი ცხარე ცრემლებს ვლვრიდით.

ძალუა ვიტრა კი ლაპარაკობდა:

— ის, ვინც გაიქცევა ფრონტიდან, დეზერტირია და მას დახვრეტენ.

დედას ძლიერ ეშინოდა იმისი, რომ მამა გაიქცეოდა ფრონტიდან.

მე კი, მართალი გითხრათ, სრულიადაც არ მეშინოდა ამისი. მე ვფიქრობდი: თუ მამა გაიქცევა, მან იცის რატომ გაიქცევა და როგორ უნდა გაიქცეს. მიუხედავად ამისა, მე მაინც ცუდად მეძინა ღამლამობით და სულ მამაქემზე ვფიქრობდი.

ძალუა ვიტრას ქმარი ხომ სულ არ წასულა ჯარში, მამაქემი კი მხოლოდ ახლა დაბრუნდა ტყვებიდან და ისევ ფრონტზე წავიდა. მაშ, რა აბუბლუნებს ძალუა ვიტრას? ვფიქრობდი მე.

მესამე ღამეს ვიღაცამ მაგრად დააკაკუნა კარები. მე უცებ წამოვხტი ლოგინიდან.

ეს თურმე მამა დაბრუნებულა შინ. მას ეცავა ახალი სამხედრო ტანისამოსი, გვერდზე ეკიდა რკინის ხიშტი, „ვინტოვკა“ კი აღარ ჰქონდა თან.

— მე გამოვიახრე, — უთხრა მან დედას. — შენ ნუ ღელავ და ნუდარ იდარდებ. მე მოხუც ტოლიასთან გადავალ საცხოვრებლად და იქ დავიმალები.

ძია ტოლია ცხოვრობდა იქ, საღაც წინათ მამა მუჟაობდა.

მაგრამ მამამ თავისი განზრახვა ველარ მოიყვანა სისრულეში. ძალუა ვიტრას დაესმინა იგი და დილით აღრე თავს დაგვადგენ მამაქემის დასაცერად მოსული პატრულები...

მამა აღარ ნებდებოდა იმათ... წართვა თოფი ერთ-ერთ ჯარისკაცს და დაუმიზნა იმათ ოფიცერს. მაგრამ დედა შევეცადრა მამას არ ესროლნა, დაებრუნებია თოფი პატრონისათვის და აღარ შებრძოლებოდა იმათ. მამამ დაუჭერა დედას. მაგრამ, გადა-



პიონერები ბანაობენ.

ცა თუ არა თოფი ჯარისკაცს, ოფიცერმა იშიშვლა  
ხმალი და უთავაზა მამას თავში.

ჭრილობიდან იჯეთქა სისხლმა და მხელი სახე  
შეუღება მამას... ოხ.. რა საშინელება იყო!.. როგორ  
ნაკადულივით ჩამოსდიოდა სისხლი საწყალ მამას!..

— ხედავ,— უთხრა მან დედას,— მე დავნებდი...  
მაგრამ რა გამოვიდა?

...მიუხედავად ამ შემთხვევისა, მამას მაინც გაუ-  
ლიმა ბედმა და იგი მოათავსეს სატუსალოს საავად-  
მყოფოში, რის გამოც გადარჩა დახვრეტას.

შემდეგ კი... შემდეგ მოხდა რევოლუცია...

### III.

ერთხელ მამამ სთქვა:

— არაფრად არ ვარგა ასეთი რევოლუცია!  
ბატონები ყველანი თავ-თავის ადგილებზე დარჩენ.  
საჭირო იყო კი, რომ ისინი კინწის კვრით გაგვერეკა  
მათი თბილი ადგილებიდან, როგორც ეს რუსეთში  
მოხდა.

დედა ხშირად ემუდარებოდა მამას წასულიყო  
და გამოექმნა თავისთვის სამუშაო. მაგრამ ის უარ-  
ზე იდგა, არ უნდოდა ისეთი მუშაობა.

— ახლა სულ სხვაგვარი მუშაობაა საჭირო.  
ჩენ უნდა ვიზრუნოთ რევოლუციის სრული და სა-  
ბოლოო გამარჯვებისათვის და კიდევაც უნდა მივაღ-  
წიოთ ჩენს ამ მიზანს.

დედას ცრემლები ერეოდა და ტუქშივდა მამას:

— არამზადავ! განა რუსეთში ტყვედ ყოფნამ  
გადაგაჩეია მუშაობას!?

მამა არ უჯავრდებოდა  
დედას. იგი მხოლოდ ეტ-  
ყოდა ში:

— ერე! შენ არაფერი  
არ გესმის.

და მამაჩემი მთელი დღე-  
ობით იკარგებოდა სად-  
ღაც ხშირად დადიოდა  
ბუღაპეშტშიც სამხედრო  
ტყვებთან.

დედა შეამცირეს ქარხა-  
ნაში. დავრჩით ულუკმა-  
პუროდ. მამმ გულმოსუ-  
ლად სთქვა, რომ ფულები  
იქნება. და, მართლაც, იგი  
წავიდა გემთა სამშაროვე-  
ლოში, სადაც იგი წინათ  
მუშაობდა მიწის საზიდ ია-  
რალებზე და მიუღებელი  
ჰქონდა ჯამაგირი. აქ მან  
მოითხოვა ანგარიშის გა-

სწორება. მას უნგარიშეს და მისცეს ფული, რითაც  
კარგახნის განმავლობაში ვკეხოვრობდით.

ერთხელ მამა მჟელი სამი დღის განმავლობაში  
არ ჩანდა არსად. დედა ძლიერ სწუხდა ამის გამო.  
ფიქრობდა: ხომ არ დაატუსალეს და ამბის გასაგე-  
ბად წავიდა ქალაქში, საიდანაც დ.ბრუნდა ნამტირა-  
ლევი თვალებით.

— ისევ ციხეში ზის, დაუტუსალებიათ, როგორც  
ბოლშევიკი, — სთქვა დედმ.

იმ ხანებში ჩვენთან ბევრი ტყვე ჯარისკაცი  
დადიოდა. მათ შორის იყო ერთი — ამხანაგი გაშპარი.  
იგი გვეუბნებოდა:

— ნუ გეშინიათ, ამხანაგი გერი სულ მალე  
დაბრუნდება. მხოლოდ ახლა იწყება რევოლუცია,  
ნამდეინი რევოლუცია!..

და მართლაც მალე დაბრუნდა მამა. მას ეცა  
ახალი ტანისამოსი და გვერდზე რევოლვერი ეყიდა.  
ქულზე წითელი ლენტი ჰქონდა შემოხვეული.

— ერე, მხოლოდ ახლა იწყება საქმე, ნამდვი-  
ლი საქმე. წამო ქალაქში, — უთხრა მან დედას.

დედას არ უნდოდა წასვლა, მაგრამ ამხანაგი  
გაშპარიც დებმარა მამას და ორივე ერთად დაიყო-  
ლიეს დედა ქალაქში წასვლაზე... იქიდან მეორე  
დღემდე არ დაბრუნდებულან.

ამის შემდეგ მამაჩემი მუდამ ატარებდა თან რე-  
ვოლვერს. იგი ბოლშევიკი იყო. ეცა ტყავის ქურ-  
თუკი და ტყავისავე პრტყელი ქუდი ეხურა.

(შემდეგი იქნება)

მ. ზარი.

## ამხ. ა. გეგეჭკორის გარდაცვალება

ამა წლის 7 ივნისს გარდაიცვალა ამხ. ა. გეგეჭკორი.

ამხ. ა. გეგეჭკორი დაიბადა 1887 წელს სამეგრელოში.

ჯერ კიდევ ოხუთმეტი წლის იყო საშა, როცა მან მასტოვა ოჯახი და მივიდა მუშებთან. ეს იყო 1901-02 წლებში, როცა ჩვენი მუშათა კლასი იღვიძებდა და მიიღო რევოლუციონური ბრძოლისაკენ. ამხ. საშა უბრალო მუშად დადგა როტშილდის ქარხანაში, სადაც ორი წელი იმუშავა. აյ ის მოხვდა რევოლუციონურ წრეში, დაეწაფა რევოლუციონურ ლიტერატურას, რომელმაც მიიზიდა ის, აქტიურად ჩაება მოძრაობაში.

დადგა ბობოქარი 1905 წელი. ამხ. საშა იქ არის, სადაც ამას მოითხოვს მისგან პარტია. როცა ბოლშევიკებმა გადმოისროლეს ლოზუნგი, რომ საჭიროა მებრძოლი ერთეულების მოწყობა მწვავე რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად, საშა სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს.

იარაღით ხელში იგი ებრძის როგორც გამხეცვაულ რეაქციას, ისე მის დამქაშებს, ყველა ჯურის ჯაშუშებს და მოღალატეებს, რომლებიც საშუალებას არ აძლევდნ მუშათა კლასს გაეკეთებია თავისი საქმე.

1914-15 წლის ამხ. საშა ციხეში ატარებს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მას ასახლებენ ასტრა-

ნის გუბერნიაში, სადაც მას მოუსწრო რევოლუციამ, რომელმაც ის გაათავისუფლა და საშუალება მისცა დაბრუნებულიყო საქართველოში (ქ. ტფილისში).

ის სწორედ იმ დროს დაბრუნდა, როცა ბოლშევიკები საბოლოოდ გაეთიშენ მენშევიკებს და საქართველოში ჩამოყალიბდა ბოლშევიკური ორგანიზაციები. საშა შეუდგა ბოლშევიკური ბიუროს მოწყობას, რომელიც შემდეგ იქცა ბოლშევიკების დასავლეთ საქართველოს კომიტეტად (ქ. ქუთაისში) და რომელიც ამზადებდა გამოსვლას ძალა-უფლების ხელ-

ში ჩასვდებად. ამ მიზნისთვის დაარსდა ბოლშევიკური პარტიის დასავლეთ საქართველოს კომიტეტის მებრძოლი შტაბი, რომლის თავმჯდომარე იყო ამხ. საშა.

სამოქალაქო ომის ხანაში ის შეუდრეველი მებრძოლი იყო მუშათა კლასის ინტერესებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ამხ. საშას სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიულ ცხოვრებაში: იგი პირველად იყო ტფილისის რევ. საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ საქ.

ს.ს.რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კი მიწათმოქმედების სახ. კომისარი.



ამხ. ა. გეგეჭკორი.

## პიონერების ექსკურსია და გასეირნება

### ექსკურსიის სამზადისი.

ყოველი ექსკურსია აუცილებლად თხოვლობს განსაკუთრებულ მომზადებას; ამისათვის საჭიროა დაისება და გადიქტას რამდენიმე საკითხი: 1. რისთვის (მიზანი), 2. ვინ (რიცხვი, ასევი), 3. საით (ადგილი, პიონერები), 4. როგორ (გეგმა).

პიონერები ყოვლისა საჭიროა გამომუშავებულ იქნეს დაახლოვებითი გეგმა ცველა საზაფხულო ექსკურსიებისა. გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ეს ექსკურსია არა თუ გააჯანთელებს პიონერს, არამედ მისცემს მას გონებრივ საზრდოსაც.

საჭიროა, რომ ბავშები ეცნობოდენ სოფელს, სოფლის ცხოვრებას, ქარხანას, წარმოებას, აბამდენ კავშირს წითელ არმიასთან, საბავშო სახლებთან. საჭიროა ამისათვის ხშირად გამგზავრება საშეფო სოფელში, სადაც შეიძლება სასოფლო მუშაობაში მონაწილეობის მიღება და ამავე დროს სოფლის შეუკავშირებელი ბავშების შეკავშირება ორგანიზაციაში. კოლექტივის საბჭო ექსკურსიის წინ იმუშავებს დაწვრილებით გეგმას და შემდეგ აცნობს პიონერს მის დანიშნულებისთან ერთად. ექსკურსიისთვის მომზადება ცალცალკე რგოლებში ხდება.

მეორე საკითხი, რომელიც უნდა დაისებას ექსკურსიის ჩატარების დროს, არის საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მონაწილეობდეს განსაკუთრებულად ექსკურსიაში. ყოვლად დაუშვებელია, რომ პიონერები და ოქტომბრელები მთელ კოლექტივთან ერთად გაემგზავრონ შორეულ ექსკურსიებზე. პატარები ჩეარა იღლებიან, დიდებს კი შეუძლიათ უკეთ და უფრო მეტის გავლა. საჭიროა იგრეთვე გარკვეულ იქნეს წინასწარ, თუ რამდენი კაცი მიღის; ყოველ კოლექტივს უნდა ხვდებოდეს 50 კაცი, მეთაურად საქართველოს ერთი—წინამდლოლი, მაგრამ მრავალრიცხვანი ექსკურსიისათვის (80—90 და უფრო მეტი) საჭიროა უფრო მეტი ხელმძღვანელების ყოლა.

კოლექტიურ ექსკურსიებს გარდა ხდება რგოლების ექსკურსიაც, მაგრამ ასეთი ექსკურსიები იღვიათად უნდა ეწყობოდეს.

მესამე საკითხი, რომლის ირგვლივ საჭიროა სერიოზული დაფიქრება, ესაა—სად უნდა წავიდენ ხოლმე საექსკურსიოდ.

ლორეული ექსკურსიის მოწყობისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) სამელი წყალი, ბ) დასასვენებელი ჩრდილიანი ადგილები, გ) სათამაშო ადგილები, გ) ფირჩითი ცეცხლის გასაჩადებლად და სხვა.

გასაჩერებელი ადგილის ამორჩევის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს იმას, რომ ადგილი რაც შეიძლება სასარგებლო იყო ჯანმრთელობისათვის, რომ მის ახლომახლო არ იყოს ჭაობი ან ჰაერის მწამლავი სხვა წყაროები.

მეოთხე და ამისთანავე მნიშვნელოვანი საკითხია: როგორ უნდა ჩატარდეს ექსკურსია? ამისათვის საჭიროა გეგმის შედგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს ორ ნაწილს: ა) წინასწარი მუშაობის გეგმას, ბ) თვით ექსკურსიის გეგმას;

წინასწარი მუშაობა მდგომარეობს იმაში, რომ რამდენიმე კაცის მიერ წინასწარ დავლილი და შემოწმებული უნდა იქნეს ექსკურსიის ადგილი. შემდეგ ჩატარებულ უნდა იქნეს მზადება რგოლებში; გარდა, ამისა საჭიროა სხვადასხვა ვალდებულების გაწესრიგება მეთაურებს და ხელმძღვანელებს შორის.

კოლექტივის საბჭო წინასწარ იხილავს ექსკურსიის გეგმას. რგოლების მეთაურებს მიეცემა მითითებანი სასვენებელი საათების, საჭმელის და სხვა საჭიროების შესახებ.

გეგმაში ნაჩვენები უნდა იქნას მუშაობის განწესრიგება.

### მოწყობილობა ექსკურსიისათვის.

ცალ-ცალკე ყოველი პიონერის მოწყობილობა ასეთია: 1) სამგზავრო ჩანთა, 2) კიქა, 3) კოვზი, 4) დანა, 5) პირსახოცი, 6) საპონი, 7) კბილის საწმენდი ფხვნილი და ჯავრა, 8) უბის წიგნაკი და ფანქარი, 9) საბანი, 10) ქალებისათვის შარვალი და მსუბუქი ხალათი, 11) ქვაბი.

თითო კოლექტივზე საჭიროა 2-3 ნაჯახი, კომპასი, 1—2 ნიჩაბი, პატარა აფთიაქი, საათი, ბაჭარი, წუმწუმა, სანთელი, დიდრონი და პატარა ბურთები, საჭმლის სახარული საჭირო ორი ქვაბი, ვედრო წყლისათვის, დიდი კოვზი. ეს ნივთები საჭიროა მხოლოდ შორეული ექსკურსიისათვის, ერთდღიურისათვის კი უნდა დაკმაყოფილდეთ უფრო ნაკლები ნივთებით.

### კვება.

ექსკურსიის დროს საჭიროა კარგი კვება. დახლოვებით საჭიროა დღიურ საზრდოდ შემდეგი:

1. პური—2 გირვანქა,
2. ბრინჯა —  $1\frac{1}{2}$  გირ.,
3. კართოფილი—1 გირვანქა,
4. კარაქი—30 გრამი,
5. შაქარი — 100 გრამი,
6. ჩაი — ერთი ჩაის კოვზი,
7. ძეხვი—200 გრამი,
8. 4 კვერცხი,
9. მარილი,
- ხავა და სხვა.

საჭიროს გაკეთება საჭიროა ერთ ქვაბში, ამიტომ დახლოვებით ცველად ერთნაირი სურსათი უნდა მოიტანოს; პურის მომარავება არა საჭირო ბლომად: შეიძლება ყოველდღე იყიდოთ სადგომ ადგილებზე.

### რა უნდა გააკეთოთ ექსკურსიაზე.

მუშაობა ექსკურსიაზე ტარდება რგოლებში, კოლექტივის საბჭოს ხელმძღვანელობით.

**სოფლის გამოკვლევა:** როდესაც კოლექტივი მიზნად დაისახავს სოფლის შესწავლა-გამოკვლევას, უპირველეს ყოვლისა მოლაპარაკება უნდა აწარმოოს ამავე სოფლის პარტიულ და კომუნალურ უჯრედებთან და აკრეთვე თემსაბჭოსთან და ადგილობრივი კოლექტივის წინამდლოლობან. საექსკურსოდ უნდა შეირჩეს ისეთი დრო, რომ სოფლიდ ნახოთ ყველა საჭირო პირები.

სოფლის გამოკვლევის დროს შეიძლება ორი ამოცანა დაისახოთ. პირველი—ჩვენს ქვეყანაში სასოფლო მეურნეობის მნიშვნელობა და მუშათა კლასის როლი გლეხობის მიმართ, მეორე—სოფლის შესწავლა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების აღრიცხვა და აგრძოლება შესაძლებლობათა გამონახვა. კოლექტივი ნაწილდება რგოლებად, რომელიც თავის შერივინაწილებენ სამუშაოს და არკვევნ შემდეგ საკითხებს:

1. სოფლის სახელწოდება, რომელი თემი და მაზრაა;

2. კომუნების, მოსახლეობის, ბალების და სახნავი ადგილების რიცხვი და როდენობა.

3. თემსაბჭოს შემადგენლობა, ვინაა თავმჯდომარე, მდივანი, როგორ მუშაობს საბჭო, ადმინისტრატიული განყოფილება, როგორ ჰკრეფენ ხეხილს. გრძალების საქმე, სკოლა, ქოხ-სამკითხველო, აღმშენებლობითი მუშაობა (გზები, ხიდები და სხვა).

4. როგორი საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციებია: კომპარტიის და კომუნიკაციის უჯრედები, სასოფლო-სამეურნეო არტელები, კომპერატია, ურთიერთდამხმარე კომიტეტი, ავროპუნქტი, სკოლა; ვინ ხელმძღვანელობას ამ საქმეებს და როგორ მუშაობენ ისინი.

5. რა საშუალებები არსებობს სამეურნეო განვითარებისათვის, როგორია მოსავლის ჩაყოფიერება, გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობა?

ცნობების მიღების შემდეგ კოლექტივი შეუდგება გლეხთა ბავშების ყოფა-ცხოვრების გამოკვლევას შემდეგის ქემის მიხედვით: 1) რამდენი ბავშია სოფელში, მათი ასაკი. რამდენი 6—11 წლის და 11—16 წლის ბავში ცალცალკე. მათგან რამდენი ღარიბი გლეხის შეიღლი, რამდენი მოჯამავირის, საშუალო და სხვილი გლეხების; 2) როგორ მუშაობს სკოლა, სკოლის ასაკის რამდენი ბავში არ სწავლობს და რატომ, რით არ მოსწონთ გლეხის ბავშებს სკოლა, როგორ ეპირობიან მასწავლებელნი ბავშებს და პიონერებს; 3) რა სურთ ასწავლიან თავის ბავშებს ღარიბ, საშუალო და მდიდარ გლეხებს; 4) რომელი წლიდან იღებენ მონაცემობას თავისის ბავშები შრომაში

და რა კონკრეტულ სამუშაოზე, 5) რამდენია სოფელში მცირეშლოვანი მოჯავირე (15 წ.) და უპატრონობ ბავში, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ისინი, რაგვარ ეპირობიან მათ გლეხობის სხვადასხვა ფენები. 6) რა სიმღერები და თამაშობანი აქვთ გლეხის ბავშებს, აწერეთ ისინი; 7) რას შვრებიან სულ მცირეშლოვანი ბავშები? 8) როგორ ატარებენ მთელ დღეს გლეხების სხვადასხვა ფენის ბავშები; 9) კითხულობენ თუ არა რამეს ბავშები ზამთარში ან ზაფხულში და რას? 10) რა მონაწილეობას იღებენ რევოლუციონურ დღესასწაულებში ადგილობრივ? 11) რაში გამოიხატება ბავშების თავაშევებულება? 12) როგორ ეპირობიან მშობლები ბავშებს, ადგილი აქვს თუ არა მათ ლახებს და რისთვის? 13) როგორ ეკიდებიან ბავშები სარწმუნოებას, დადიან თუ არა ეკლესიებში? 14) რა აინტერესებთ მათ განსაკუთრებით და რათ სურთ გახდენ, 15) იცნობენ თუ არა პიონერებს და დაინტერესებული არიან თუ არა მათი ყოფა-ცხოვრებით, 16) არის თუ არა პიონერკოლექტივები და როგორ მუშაობს.

რომ მიიღონ პასუხი ყველა ამ კითხვაზე, პიონერები მჭიდროდ უკავშირდებიან გლეხების ბავშებს, თამაშობენ მათთან, იახლოვებენ საექსკურსიო მუშაობაში; თუ სოფლის ხელოს არის სანერგე, პლატაცია ან სარწყავი არხები, პიონერები ეცნობიან და იკვლევენ მათაც.

ამის გარდა პიონერები სწავლობენ გლეხების ყოფას, სწავლობენ მათ სიმღერებს, სათამაშოებს, და სხვა. ყველა ამ ცნობის შეკრების შემდეგ და რგოლებში და კოლექტივის საბჭოში გადამუშავების შემდეგ პიონერები იმუშავენ მთელ რიგ ღონისძიებას, რითაც ხელი უნდა შეუწყონ სოფლის ცხოვრების გაუმჯობესებას და გაატარონ ცხოვრებაში პარტიის და კომუნიკაციის დახმარებით.

### ექსკურსია ბუნების წიაღში.

ექსკურსია ბუნების წიაღში შეიძლება მოწყბილ იქნეს დამოუკიდებლად ან, თუ გაემგზავრება კოლექტივი ხანგრძლივ ექსკურსიაზე, შეუძლია გავიდეს ველად ან ტყეში, გამოიკვლიოს ყანის მავნე ცხოველები.

ექსკურსიას ბუნების წიაღში, სხვათა შორის, უნდა ჰქონდეს რაიმე მიზანი, შესწავლილი უნდა იქნეს ბუნების რაიმე თვისება ან მოვლენა ისე, რომ თვით ეს თემა არ იყოს ექსკურსიის მთლიან მუშაობას და ცილიდებული და ინტერესს მოკლებული ბავშებისათვის.

საჭიროა აგრძოლება გახსოვდეთ ექსკურსიის ღროს განაწილება—გამოყენება. თუ ბავშებმა ერთი სათი ბეჭითად იმუშავეს რომელიმე საქმეზე, ამის შემდეგ უნდა დაისვენონ კარგად, ითამაშონ, იბანაონ და სხვა.

## მონიტორინგი

მონიტორინგის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორია 2.787,000 კვად. კილომეტრს უდირის. მონიტორინგი ტერიტორიის სიღილით ევროპის თითოეულ სახელმწიფოზე მეტია; ამ მხრივ გამონაკლის მხოლოდ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს, რომელიც მონიტორინგიზე ბევრად დიდია.

მონიტორინგის მიწის ზედაპირი უმეტეს ნაწილი და ვაკე ძღვილს წარმოადგენს, ჩრდილოეთით მთებია; ზოგიერთი მათგანი ძალზე მაღალია.

ჰავა აქ კონტინენტალურია. ზაფხულზე დღისით ძალზე ცხელა, ხოლო ღამით კი ძალზე ცივა.

მონიტორინგის ჩრდილო-აღმოსავლეთით აუარებელი მდინარე და ტბაა. დანარჩენ ნაწილებში მდინარეები იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ყველაზე უდიდესი მდინარე მონიტორინგის არის **სელენგი**, რომლის სიგრძე მონიტორინგის ტერიტორიაზე 900 კილომეტრს უდირის.

მონიტორინგის უმეტესი ნაწილი უდაბნოს წარმოადგენს, იშვიათად აქა-იქ თაზისებიც გვხვდება. ჩრდილო-დასავლეთში აუარებელი ტბაა.

იქ 2 მილიონი მცხოვრებია. ეს რიცხვი ისე მცირება ტერიტორიასთან შედარებით, რომ 1 კვად. კილომეტრზე ერთ კაცზე ნაკლები მოდის.

მონიტორინგის სახალხო მეურნეობის უმთავრეს დარგს მეჯოგეობა წარმოადგენს. ყველაზე მეტად ცხვრებს აშენებენ; ბლომად აშენებენ ცხენებსაც, ბლომადაა აგრეთვე მსხვილფეხა საქონელი, თხები და აქლებები. საქონელი უმეტესად ავადმყოფობისა და სიმშილის გამო იღუპება, საქონლის ჯოგს მგლებიც ანადგურებენ.

მონიტორინგის ჩრდილოეთ ნაწილში მისდევენ მონადირეობას. ნადირი აქ აუარებელია, მეოვეზეობა კი იშვიათადაა გვარცელებული.

მონიტორინგის არის ოქროს, ქვანახშირისა და მარილის მაღნები. თუმცა სხვა მაღნებიც მოიპოვება, მაგრამ მათი დამუშავება ძალზე მოისუსტებს.

რაც შეეხება დამუშავებითს მრეწველობას (ფაბრიკა-ქარხნები), აქ ასეთი არ მოიპოვება. თითოეული მონიტორინგის ოჯახი მისდევს შინამრეწველობას და ამზადებს ტყავეულობას, თასმებს და ტყავეულობის სხვა ნაწარმოებს.

მიმოსვლის საშუალებაც სუსტადაა განვითარებული. რკინის გზები არ არის, თუ არ ჩაეთვლით აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხაზს, რომელიც მონიტორინგის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში გაივლის. ტვირთის გადატან-გადმოტანა ქარანებით სწარმოებს. მთავარი საქარავნო გზაა მონიტორინგის კას-ტასა, ულან ბათორსა (მონიტორინგის სატატო ჭალა-ქა) და კალგანს შორის.

მონიტორინგიდან გამოაქვთ უმთავრესად მეჯოგების პროდუქტები. შეაქვთ ჩაი, ქსოვილები, დამუშავებული ტყავეულობა, ლითონის ნაწარმოები და

სხვა. მონიტორინგის უმთავრესად ჩინეთთან და საბჭოთა კავშირთან.

1921 წლიდან მონიტორინგი დამოუკიდებელ სახალხო რესპუბლიკას წარმოადგენს.

მონიტორინგის უფლებათა დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მონიტორინგი გამოცხადებულია სახალხო რესპუბლიკად, სადაც ძალა-უფლება ეკუთნის მშრომელ ხალხს. ხალხი ანხორციელებს თავის ძალა-უფლებას სრულიად სახალხო დიდი ხურულდანის მეობებით და ამ უკანასკნელის მიერ ამორჩეული მთავრობით. დეკლარაციაში ნათქვამია აგრეთვე, რომ რესპუბლიკის ძირითად ამოცანას შეადგენს ფეოდალური სისტემის მოსპობა და ახალი რესპუბლიკანური წესშეყობილების გამაგრება.

მთელი მიწა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, ტყეები და მინცვები, მდინარეები და ტბები სახალხო საკუთრებადაა გამოცხადებული. საგარეო ვაჭრობის მონობლივია სახელმწიფოს ხელშია. მონიტორინგის არსებობს სახალხო რევოლუციონური არმია. დეკლარაციით ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილია, სწავლა-განათლებას საქმით ყურადღება ექცევა. მონიტორინგის გარეშე პოლიტიკა საესებით შეფარდებულია დაჩვრტულ ხალხთა ძირითად ამოცანებთან და მთელი ქავნიერების რევოლუციონურ მშრომელებთან.

უმაღლესი ძალა-უფლება, როგორც უკვე აღვინიშნეთ, ეკუთნის დიდ ხურულდან. დიდი ხურულდანის სესიათა შორის მონიტორინგის განავებს მცირე ხურულდანის პრეზიდიუმი, მთავრობასთან ერთად.

არჩევნების უფლება ყველა მოქალაქეს აქვს 18 წლის ზევით. ასეთი უფლებით სარგებლობს ის, ვინც თავისი საკუთარი შრომით ცხოვრობს და აგრეთვე ცირიკები (ცირიკები, ანუ ჯარისკაცები სახალხო რევოლუციონური ლაშქრისა). არამშრომელები (ვაჭრები, თავადები და სამღვდელოაბა), რომელებიც არ ეწევიან შრომას, მოქლებულნი არიან არჩევნების უფლებებს.

მონიტორინგის სახელმწიფო დროშა წითელი ფერისაა, რომელზედაც არის სახელმწიფო ღერბი.

დამოუკიდებელ სახალხო რესპუბლიკად მონიტორინგი სახალხო პარტიაშ აქცია, რომლის მიზანს შეადგენს მონიტორინგის განთავისუფლება უცხო ქვეყნის იმპერიალიზმისაგან. ამ პარტიის პროგრამაში შედის ფეოდალური წყობილების დანგრევა, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება და პოლიტიკური მომზადება შრომელი ხალხისა.

საბჭოთა კავშირს და მონიტორინგის შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობა არსებობს; ეს ურთიერთობა კი დამყორდა მონიტორინგი-საბჭოთა კავშირის კონფერენციის შემდეგ, რომელიც 1921 წლის ოქტომბერში მოხდა.

ალ. გორგაძე.



## დიღი ექსპურსია

(სოფ. ქვედა ცაგერი, ლეჩხუმის მაზ.)

ა.წ. 20 მაისს, პიონერთა მერვე საერთაშორისო კვირეულის დღეს, სოფ. ქვედა ცაგერის ა.ლ.ჭ.ჭ. უჯრედთან არსებულ ნორჩ პიონერთა კოლექტივმა მოაწყო დიდი ექსკურსია ორბელის ციხის ნანგრევებზე. პიონერთა საბჭოს ამ ექსკურსიისათვის ერთი თვის სამზადისი ჰქონდა; მოგვარებული იყო ყოველგვარი ტეხნიკური მხარე, რაც ექსკურსის ესაკირობოდა. შედგენილი იყო წინასწარი საექსკურსიო გეგმა და დილის 8 საათზე კოლექტივი გაემართა ცაგერის შარა გზით ორბელისაკენ. გზაში დავათვალიერეთ ორბელ-ცაგერის შარა გზა, აგრეთვე შევისწავლეთ სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენები, რომელნიც გზადაგზა გზევდებოდა და რომელზედაც სათანადო ახსნა-განმარტებას იძლეოდა კოლექტივის ხელმძღვანელი. ბოლოს ექსკურსიამ მიაღწია ციხის ნანგრევებს; ერთი საათის დასვენების შემდეგ გულდასმით დავათვალიერეთ ეს შენობა, ახსნა-განმარტება მოვისმინეთ ციხის ძველ აკლამებზე და სხვაზე. ამით ექსკურსიის მიზანი უკვე ამოწურული იყო. მაგრამ ორბელის 4-წლედთან არს. ნ.3. კოლექტივის თხოვნით ჩვენ გავემართეთ მათ შენობაში. ორბელის მცხოვრებლებზე დიდი გავლენა მოახდინა ჩვენმა გვილამ. ნაშუადღევის 3 საათზე დანიშნულ ალაგს მივედით. ორბელის 4-წლედთან არს. ნ.3./კოლექტივი დიდი ალტაცებით შეკვედა; ყველანი პატივისცემით გვეპყრობოდენ. ცოტა ხნის დასვენების შემდეგ დავათვალიერეთ კოლექტივის ბინა, მოვაწყვეთ ცეკვა-სიმღრა, თავისუფალი ვარჯიში და მათთან ერთად გავემგზავრეთ 7-წლიანი სამეურნეო შრომის სკოლის დასათვალიერებლად. საღამოს 5 საათზე კი ცაგერისკენ დაგბრუნდით.

ხშირი შემთხვევებია, რომ ექსკურსია მიზანს ვერ აღწევს; ჩვენმა ექსკურსიამ კი ამ მხრივ მიზანს გადააჭირდა, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ა. პაოლო.

## ჩვენი კოლექტივის ურვა-ცხოვრება

(ქ. ქუთაისი მე-II ცხრაშლედთან არსებული კოლექტივი.)

ჩვენი კოლექტივის პიონერების რიცხვი 90 უდრის, ოქტომბრელების – 35. ისინი დაყოფილი არიან რგოლებად; პიონერების რგოლში შედის 10, ოქტომბრელების რგოლში – 5 კაცი. აგრეთვე ვუშვებთ გაზეთს „მომავალი“ ორ კვირაში ერთხელ. ჩვენს კოლექტივს აქვს კავშირი მე-VI შვიდწლედთან. იქ არის დაარსებული ფორბოსტი, რომლის საშალებითაც მრავალი მოწაფე ჩივაბით ჩვენს მუშაობაში; აგრეთვე მოვაწყვეთ სკოლაში სამკითხველო და სხვადასხვა კუთხე. საუბარი ტარდება ფორბოსტში ორ კვირაში ერთხელ.

ასეთი არის ჩვენი კოლექტივის ყოფა-უხვერება.

პიონერი ნ ხელაია

## ჩვენი კოლექტივის მუშაობა

სოფელ ნეძვში ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია დაარსდა 1926 წელს. მისი მუშაობა პირველ ხანებში სუსტად მიმდინარეობდა, მაგრამ სარიონო ბიურომ ყურადღება მიაქცია ჩვენს კოლექტივს და დღეს მუშაობა საგრძნობლად გამოცოცხლდა.

ვუშვებთ კედლის გაზეთს. ჩვენ კოლექტივში ირიცხება 78 პიონერი; ისინი სულ გლეხის შეიღები არიან.

აგრეთვე ვაწყობთ გაფრენებსა და ექსკურსიას, მაგალითად, მოვაწყეთ ექსკურსია ახალდაბაში, სადაც დავათვალიერეთ ქარხანა; ვაწყობთ ექსკურსიებს აღგილობრივადაც.

განო ნათელაშეილი.

## ქალალდი ისტორიაში.

ამა თუ იმ ხალხის გონიერივ დონეზე როცა მსჯელობენ, მხედველობაში იღებენ, რამდენი ქალალდი იხარჯება მცხოვრებთა თითო სულ-ზე საშუალოდ ყოველწლიურად. სადაც უფრო მეტი ქალალდი იხარჯება, ჩანს, მეტიცაა წერა-კითხვის მცდნე, იქ ბევრს სწერენ, ბევრს ბეჭდავენ და კითხულობენ, კარგი წიგნების კითხვა კი უდრის ჭკვიან და გამოცდილ კაცოან მასლაათს, თათბირს: მკითხველი მისგან იღებს ცოდნას, ხდება შეგნებული და განვითარებული.

წიგნები იმათზე დიდხანს ცოცხლობენ, ვინც ისინი დასწერა. ამ დამწერლების აზრები წიგნების ფურცლების მეოქებით ჩვენამდე აღწევს, გვიაუვენ ძველი შეცდომების გამეორებისგან და გვიადვილებენ ცხოვრების სიღუხვირესთან ბრძოლას. ქალალდის წყალობით, იმაზე გამოყვანილი ნიშნებით ვეცნობებით ისტორიულ მოვლენებს, ვტკბებით ყველა ქვეყნისა და დროის სასიქადულო მწერლების და მხატვრების ნაწარმოებებით.

ქალალდი გვადგება ავრეთვე მიწერ-მოწერისათვის, ის სპობს მანძილს, რომელიც გვაშორებს ნაცნობებსა და მახლობლებს. ქალალდი შეუდარებელი განძია სკოლაში და ოჯახში.

ქალალდი დასაბამიდან ემსახურებოდა გაბატონებულ კლასებს, როგორც მძლავრი იარაღი მშრომელთა გონების დასაბანევად.

საშუალო საუკუნეებში, როდესაც ქალალდი პირველი გამოვიდა ევროპაში (1200 წელს), მშრომელი ხალხი გმინავდა ბერების და მემამულეთა ფეხშეეს. „წმინდა მამებმა“ მსწრაფლ დააფასეს მისი უპირატესობა და გულმოდგინედ გავრცელეს ხელნაწერები, რომელებიც მოუწიდებდნენ მშრომელებს მორჩილებისკენ, ურჩევდნენ ხელი აელოთ ამჭვეყნიურ სიკეთეზე და „სულის საცხონებლად“ ეწამათ ეკლესია. ამ ყალთაბანდებმა გამოძებნეს ძონები, ნაფლეთები, ამ ნაგვს ჰყოიდნ წყლიან ავანდასტაში, იქ ეს ნაგვი ითქვიფებოდა და შერე ტყლაპსავით მზეზე იშუშებოდა. ამგვარად ამზადებდნენ ქალალდს.

წიგნის ბერვდა კი მაშინ დაიწყო (1436 წ.), როდესაც სამღვდელოების ძალა-უფლება შესუსტდა და გავლენიანი თავადებისკენ გადიხარა. ეს ის დრო იყო, როდესაც საბერძნეთის ძველი ცოდნა-განათლების აღორძინების ხანა დაიწყო და ლიტერატურა-მაც გამოიღო კუკორი. ახალმა სიტყვებმა გაამნენევა თავადები ბერებთან ბრძოლაში. გაძლიერებულმა მოთხოვნილებამ საწერ ქალალდზე განვითარა ქალალდის დამუშავება. ავანდასტა თანდათან მექანიკურ მანქანად იქცა, მაგრამ 12 საათის განმავლობაში 1200 ფურცელ ქალალდს აკეთებდნენ. სისხლისმღვრელი ომები და რელიგიური დევნა ხელს უწყობდა ქალალდის გავრცელებას. ეკროპაში; ქალალდის გაძლიერებულ წარმოებას მოჰყვა გამოგონებანი ტეხნიკურ დარგში, რაც ხელს უმართავდა ვაჭრებს საზღვაო მოგზაურობაში. დაბყრობილი ქვეყნების მცდელობების

რებთა შრომის ექსპლოატაცია ამდიდრებდა ვაჭრებს, რის გამოც მათ ჰქონდათ საშუალება უფრო ძლიერი გავლენა მოეხდინათ პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

მე-XVIII საუკუნეში შეძმილეს ქალალდის არ-შიები (ლენტა), ფრანგი ლუი რობერტის მოვინილი. მაშინ მიეცა კიდევ დიდი გასაქანი ქალალდის დამზადებას: ჩალას და თვას ხმარობდნ ჩვების ნაცვლად.

როდესაც თავად-აზნაურობა საბოლოოდ შეურიცდა სამრეწველო ბურუუაზიას, მაშინაც ქალალდი მათ მიზნებს ემსახურებოდა.

რასაკირველია, შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე აუარებელი ფურცელი, რომლებზეც დაჩაგრული კლასის საუკეთესო წარმომადგენელთა აზრები იქნება დაბეჭდილი. როგორც თესლი ნოიყირ მიწაში, ეს სასარგებლო რჩევა-აზრებიც გაუჯდებიან მრავალტანჯულ ხალხს სისხლ-ხორცში, აუხელენ თვალებს, ერთი სიტყვით, ხალხი გახდება ავარგის გამრჩევი და დამფასებელი. ლიტოგრაფიის გამოგონება (1796 წ.) ძალზე ხელსაყრელი იყო პოლიტიკური კარიკატურების გავრცელებისთვის. ამგვარად, შრომის მძიმე პირობები, შეცლუდული და შევიწროებული მდგომარეობა აიძულებს უუფლებო მასას გამოვიდეს ქუჩაში, მოახდინოს აჯანყება და გადავიდეს მერე რევოლუციაზე. ქალალდი აჩქარებს ამგვარ ამბებს.

პოლიტიკურ გადატრიალებასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ცხოვრება ცოცხლდება, მოთხოვნილება ქალალდზე იზრდება. ჯერ კიდევ მე-XIX საუკ. დასაწყისში ძონების იწყეს კლება, რის გამოც საჭირო იყო ქალალდის დამზადება სხვა ნივთიერებიდან. 1840 წ. ხის და ნაფოტის ნახერხებიდან იწყეს ქალალდის გაკეთება, 1854 წ. განვითარდა ჩალის „ცელიულოზები“, 1857 – 1860 წლებში ქალალდის მასალად შემოილეს ბალაზი.

წიგნმბეჭდავ დარგში შემოილეს ახლადმოგონილი საბეჭდი დაზებები (1800 წ.) და ცილინდრის „როტაციის“ მანქანა (1811 წ.). ყოველდღიური პრესა აძლევს საზოგადოებას ტონს და მასთანავე ყურმოჭრილი ყმას ბანკირებისა და ბირევევიკების. სწავლა-განათლება გაბატონებულ კლასთა ხელშია. მხოლოდ უანგარო მეცნიერება, მიუხედავად იმისა, რომ დევნას განიცდის, მანქან ტივტივებს წყლის ზედაპირზე, ჰევენს ირგვლივ ჭეშმარიტების შუქს.

ასე იყო, ასეა დღესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, საბჭოთა რესპუბლიკების კაშირში კი სულ სხვა სურათია, აქ ქალალდი მშრომელ მასებს, მუშათა კლასს ემსახურება. ჩვენ ახლა რაც შეიძლება მეტი ქალალდი გვინდა. ჩვენ გვჭირდება ქალალდის დასამუშავებელი ქარხები, სტამბები და ცელიულოზის სახელოსნოები. ჩვენ ბევრი ნედლი მასალა გვაქვს: ჭალა-ტყეები, ჩვენ ბევრი ძალა შეგვწევს, მხოლოდ ნაკლები გვაქვს ცოდნა; უნდა ვისწავლოთ, უნდა ვიკითხოთ, ამისთვის კი საჭიროა ქალალდი, სტამბა და წიგნი.

## თ ე პ ჭ ი ს ს ა გ ა ფ რ უ ლ ი.

მედიდურად და მღრღდედ მოიზლაზნება თვალშეწყვეტილი ვოლგა კასპიის ზღვისკენ, სხვადასხვა მიმართულებით სერავენ მის ზედაპირს ხომალდები და მეოვეზეთა ნავები.

თვალშარმტაცია მრავალშეყლიანი ვოლგა, მაგრამ იგი ახარებს საბჭოთა მოქალაქის გულს არა მხოლოდ თვისი სილამაზით, არამედ იმ ულევი თევზითაც, რაც ფრიად დიდ სიმღიდრეს წარმოადგენს კაშირის სისტემის. აუარებელი თევზი დანავარდობს მის სილრმეში, აუარებელ ხალხს ეძლევა საზრდოს შოვნის საშუალება მისი მეოხებით.

აი, საფოსტო ხომალდმა უკვე უკან მოიტოვა ყაზანი, სამრა და სარატოვი და ასტრახანში შევიდა. ესაა საბჭოთა კავშირის თევზის მრაველობის ბუღე. იქაა ორი საკონსერვო ქარხანა და ორი ფრიად დიდი საყინულე, აქედან იგზავნება თევზეულის კონსერვები და ახალი თევზი სხვადასხვა აღგილოს.

ასტრახანიდან 70 კილომეტრის მანძილზე არის თევზის სარეწავი, ნაპირზე არის გადახურული აღვილი, სადაც ჭრიან თევზებს. ზუგზი, თაროთ და სხვა ძეირფასი თევზი ცოცხალი მოაქვთ აქ და მათ სჭრიან მუშა ქალები, მოაყრიან ყინულს და მაშინვე აგზავნიან ასტრახანის საყინულებში. ქვირითს, რომელსაც ამოაცლიან თევზს, მაშინვე ხიზილალად აკეთებენ და კოლოფებში აწყობენ. ეს ხიზილალა ფრიად ფასობს და საზღვარგარეთ ბევრი გააქვთ. აქვე აკეთებენ დოშს. საუკეთესო დოში კეთდება გოჯილან, უფრო ნაკლები – ზუტხილან. მუშების დიდ უმრავლესობას კალმიკები და ყირგიზები შეადგენენ, რუსი მამაკაცი მუშები ცოტანი არიან. ისინი ამარილებენ თევზს, აწყობენ კასრებში, ჰეზავნიან სხვადასხვა აღგილოს.

დიდი და მრისხანეა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, არ უჩანს არც თავი, არც ბოლო, ტალღები კი ირგვლივ დათარებულები, ერთმანეთს ეხლებიან. აქა-იქ მოჩანს მეოვეზების იალქნები. ხანდახან ხომალდის ორთქლიც ჩანს. რაღაც თეთრი ფრინველები გუნდ-გუნდად ფრინავენ, სხდებიან წყალზე. ნაპირის შენობებია, საწყობები. ხალხი ფუსფუსობს, მუშაობენ. აქ დგას უზარმაზარი კასრები, სელაპის სქელი სისუქნით სავსე, იქე ჰყანის სელაპების ტყავი. სარეწავში ხანგამოშვებით მიდის ნავები, ხომალდები; თან მოაქვთ აუარებელი დახოცილი სელაპი, რომლებსაც ატყავებენ და მსუქნ ხორცი კი ქარხანაში ჰეზავნიან.

გაზაფხულზე სელაპები მხეზე გასათბობად ამოვლენ ხოლო ყინულებზე და მილიონობით გაწვებიან, ასე რომ სულ გადააშვებენ არემარეს, მაშინ ასიათასობით ხოცავენ მათ. ცალკეული გაფართოებული გამოვლენა მუშები გაფართოებული მუშაობენ, სელაპის სისუქნე უნდა ჭავამზადონ, ის ხომ საჭიროა საბჭოთა მოქალაქეებისთვის. სულ რომ მუშაობათ მუშაა. არიან ბავშებიც, ასომლებსაც ფართებათ ბადების

გაშლა, დაკეცვა, ყუთებში ჩაწყობა, ანკესებზე თევზის საჭმლის დაგება — ესაა პარაზია თევზები. ბავშები 10-12 წლის არიან, იცნობენ ოკეანეს, შეჩერებული არიან მის ნაპირს ცხოვრებას. ბევრჯერ უნახავთ ის გაცოფებული, ბევრჯერ უნახავთ წყნარზე წყნარიც.

აი, სერგო, მკვრივი, ყოჩალი ბიჭი. ის სელაპის დამჭერლებს გაჰყვა ერთხელ თან, მან სხვა ბავშებზე მეტი იცის. „უჰ, ორი თვე ვიყვაით ოკეანეზე, რა არ გამოვცადეთ!“ — ამაყად ამბობს ის.

— ვინ წაგიყვანა? — ეკითხებიან თვალებგაბრწყინებული ბავშები.

— ტრიუმში თავიმალე. როცა შორს გავედით, მერე გამოვჩნდი.

— მოგვიყევი, მოგვიყევი! — შეეხვეწენ.

— ეჲ! რას მოგვიყვეთ! ირგვლივ სულ წყალი და წყალი, სხვა არაუერი ჩანდა. ტალღებზე ნაფოტივით ქანაბდა ჩვენი სათევზაო ნავი. მერე ყინულის ველს მივადექით და სელაპებიც იქ იყვნენ. გაწოლილიყვნენ ლორებივით, თბებოთდენ. დავუშინეთ, ვისაც რა ჰქონდა. ზოგი თოფს ესროდა, ზოგი ჯოხს ურტყავდა! ისინი სუქნები იყვნენ, არც ინძრებოდენ, ჩვენ კი ვხოცავდით და ვხოცვდით. ოჲ! რამდენი იყო, რომ იციდეთ!!

— ვეშაპი არ გინახავს?

— შორიდან დავინახეთ. წყალს შედრევანივით უშებდა მალლა. ახლოს კი არ მივეარებივართ: მოიქნევს კუდს და მორჩი შენი საქმე, ზღვის ძირის ესტუმრები, ნავს სულ ნაფოტ-ნაფოტად გაქცევს.

ორი კერია გავიდა. მთების კალთები ამწვანდა.

— ძია, ბევრია, ხომ, ტრესკა ოკეანეში? — ჰკითხა ერთ მუშას სერგომ.

მუშას გაეცინა და უთხრა:

— შენ ვერც კი წარმოიდგენ, ჩემო კარგო. ტრესკა ასი მილიონობით თავმოყრილი მოდის. სიგანეზე 70 კილომეტრი უჭირავს, სიგრძით კი 250 კილომეტრი.

— რა? — ძლიერს მოახერხა თქმა განციფრებულმა ბავშები და პირდაღებული მიაშტერდა მაქმელს. მართლაც რომ ძნელი წარმოსადგენი იყო, მაგრამ მუშას სრულიადაც არ გადაუქარებია.

ასევე მილიარდობით მოდიოდა სელიოდაცაც. ის ნაპირს ეტანებოდა და როდესაც წყნარ უბეებში შევიდოდა, მას შიგ ჩატკეტავდენ უზარმაზარი გრძელი ბადებით, შემდევ კი ხევტდენ კედლობებით, ტომრებით, მაგრამ განა შეიძლებოდა მთელი ამ აუარებელი თევზის ამოხვეტა! საამისოდ არც ძალის ეყოფოდა და არც ჰეზრები.

მშვენიერი დღეები იყო, მზე სამურად ათბობდა არემარეს. ბავშები დიდ ჯაფაში იყვნენ: ვერ მოსწრებდენ ერთი წყება მეოვეზების გასტუმრებას, რომ მეორე წყება უკვე ბრუნდებოდა: დაქერილი თევზით და ახლა მათოვის უნდა გაემზადებიათ ბადები, დაეგოთ ანკესებზე პარაზია თევზები. ხანდახან ეს

თევზები გამოილეოდა და მუშაობა ფერხდებოდა. მაშინ უნდა წასულიყვნენ იქ, სადაც აუარებელი იყო ანკუსზე წამოსავები პატარა თევზი. ერთ დღეს სწორედ ამ მიზნით წავიდენ, დიდხანს იხეტალეს კლდეებს შორის, ბოლოს ვიწრო ყურეში შეცურდენ, ნავით ნაპირზე გადავიდენ და მიიწყის დასახმარებლიდ აქაური მებალურნი. ამ ყურეში, სილიან თხელ წყალში იყო მათთვის საჭირო პატარა თევზი. მოძირადენ, მოვიდენ ნავებით და ჩაუშვეს ბადეები, მერე დიოწყეს ბასი, მოსწიეს თამბაქო და შემდეგ კი დიოწყეს ბადეების ამოწევა, რომლებშიც უთვალუები პატარა თევზი ფართხალებდა. ასე გადისროლეს ბადეები სამჯერ, აავსეს ნავები, შემდეგ ყურები დატენეს და უკან გაბრუნდენ. გზაზე ჩრდილოების ცივი ქარი ამოვარდა. მეზღვაურები გემის ტრიუმში ისხდენ და იგონებდენ, როგორ გადარეკეს ყინულოვანი ოკეანეს ნაპირებიდან თეთრები და ინგლისელები, რომლებსაც თევზის სარეწავების ჩაგდება უნდოდათ ხელში.

გავიდა ცოტა ხანი. მზე თითქმის იღარ ჩადიოდა. ბავშებს ვერ გაეგოთ, დღე იყო თუ ღამე—მზე სულ კაზე იყო. მუშაობა კვლავ დუღლა. მოდიოდენ და მოდიოდენ თევზის დამკერი გემები, მოპქონდათ და მოპქონდათ თევზი, გადმოტვირთავდენ, აავსებდენ ქარებს დატვირთავდენ ხომალდებს, გაგზავნიდენ ნასატგურებში. ახალ-ახალი თევზი კი შეუწყვეტლივ მოპქონდათ და მოპქონდათ. ირგვლივ ყველვან თევზი იყო: ნავებში, ქვებზე, სილაზე, სახლების წინ, მაგრამ აბა ვის აეკრედით, ვის რათ უნდოდა? საქმი იყო ჩამჯდარიყავი ნავში, გასულიყავი ყურეში და სულ შეუქმნევლიდ დაიკერდი 50-60 კილოგრამ თევზს. ხშირად ცალიერ ანკესაც კი ეტანებოდა თევზი, იმდენი იყო!

ერთხელ სერვო და მისი ორი ამხანაგი წავიდენ სათევზაოდ. მათ თან ანკუსები წაიღეს.

საღამო იყო. მზე თანდათან ძირს იწევდა და მისი სხივები თვალწარმტაცად ლივლივებდენ წყლის ზედაპირზე. მთების ფერდობებზე ლურჯი ჩრდილი გაწვა. ნავი წყნარად მისრიალებდა. ბავშები ხარბად სუნთქვედნ გრილ ჰაერს. მერე სიმღერაც წამოიწყეს.

ოკეანე წყნარი იყო და პატარა ტალღა რაღაც ქურუჩულებოდა ნაპირის ქვიშას. თეთრი ქაფი არშიასავით გავლებოდა ნაპირს.

— შეხე, შეხე! ვეშაპი წყლის შაღრევანს უშვებს! მართლაც, შორს მოჩანდა წყლის ორი შაღრევანი. ეს ვეშაპები ამოსულიყვნენ ზედაპირზე.

— უჟ! ვაი, ნეტავი ახლოს მივიღოდეთ! — სოქვა ერთმა.

— ვა! პირი დაუღე! გვონია, ახლოს მივიშვებს?

— გაიქცევა?

— არა და შენ მოგიცდის!

— რა! რა საინტერესო იქნება მავის დაჭრა!

— საინტერესოა, მართალია. რამდენი ხორცი აუგა, რამდენი ქონი! საშლელი რომ იყიდება, იმასაც მავისი ძალვებიდან აკეთებენ. ხომ ამხელაა, მაგრამ პირი კი არ აქვს საიმისოდ დიდი, დიდი თევზის გადაყლაბე ამ შეუძლია. აი, აკელა ხომ გაცილებით პატარაა, მაგრამ ისეთი პირი აქვს, რომ სულ ანადგურებს თევზებს, ადამიანისთვისაც ძალიან საშიშია.

— შენ გინახავს აკულა!

— როგორ არ მინახავს, მის მეტი რა არის აქ. უჟ. რა კბილები აქვს!! ჩემი მტერი ჩაუვარდა ხელში. მათი შიშით თავისუფლად ცურვაც ვერ მოუხერხებია კაცს კვერცხში. მოგვარდება და შშივიღობით!

— კაცო, აი, ასე წყნარი რომ ჩანს ახლა აკეანე, რამდენი მილიონი თევზი და სხვადასხვა ცხვველია მის სილრმეში. ისინი სკამენ ერთმანეთს, ებრძიგიან! რამდენი თევზი გარბის ახლა გულგახეოქილი აკულას შიშით!

მზე ჩასასულელად ემზადებოდა. მის სხივებს ძალა მოკერებოდა და იწითლებული ცისდასავალი თვალწარმტაცა სურათს წარმოადგენდა.

— აბა, უკან გავბრუნდეთ!.. ნავი შემთარებულიას; ნიჩბები მწყობრად აღი-დაღიოდა, წყალს უკვე სიშავე შეეპარა და უძირო და უსაზღვრო სივრცე იღუმალობით იქცებოდა.

— რა სიმდიდრეა, ბიჭებო, ეს კვეანე! წარმოგიდვენია, რა დიდ სარგებლობას იძლევა იგი რამდენი ასეული მილიონი თევზი იჭირება მასში, რამდენ ქვეანეს აერთიანებს, ვაკრობა-მრეწველობას უწყებს ხელს!

მიაწიეს ნაპირს. მთებზე ირგვლივ ბინდმა დაისაღებურა. ნავი წყნარად მისრიალებდა მეთევზების ბინდისკენ. ტალღა ქურუჩულებოდა ნაპირის ქვიშას და თეთრი არშიით კოხტაობდა.

## ვ ი ნ ა რ ს ი:

	გვ.
1. სანაპირო ქალაქი—დასასრული—ს. კასრაძის .	2
2. პიონერები—არ. ჩაჩიბაიანი . . . . .	8
3. სოფლის ზემზე—ს. ეულის . . . . .	12
4. უკუ—მ. ზახი . . . . .	13
5. აბ. ა. გეგჩერის გარდაცვალება. . . . .	18
6. პიონერების ექსკურსია და გასეირნება . . . . .	19
	33.
7. მონლოლეთი—ილ. გორგაძის . . . . .	21
8. ჩეენი ცხოვრება . . . . .	22
9. ქალალდა ისტ. რიაში . . . . .	23
10. თევზის სამეფო მისამართი . . . . .	24
11. 15 ოქტომბერს სრულდება „პიონერის“ არსებობის ორი წერი . . . . .	კაზხე.

გამოჩის

1928 წ.

გამოჩის

ორგანიზაციის სამართლო დასურათებაზე

→ ჟურნალი ←

მოცელი თათვის

# პირნარი

ფას 0 ღ 1 ღ 0 III

შესრული ს. ს. ს. რ. შველა სკოლისათვის საპალდებაშვილია.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ერთეული წევრის, ორგანიზაციის ერთეული კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების განუმდებარება გამოიწეროს

# პირნარი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში—5 მან.

ექვს თვეს—3 მან.

სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

ფასი ნომირი—25 კაპ.

**მისამართი:** ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „პირნარი“-ს და „ოქციურისტები“-ს რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქტო კოლეგია.